

სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N12:

ლტოლვილის სტატუსის განაცხადები შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებიდან გამომდინარე ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში

UNHCR გამოსცემს ამ სახელმძღვანელო პრინციპებს საერთაშორისო დაცვის შესახებ მისი მანდატის შესაბამისად, რომელიც დადგენილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდებით, კერძოდ, 8(ა) მუხლის, და ასევე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის და მისი 1967 წლის ოქმის მე-2 მუხლის, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის აფრიკაშილტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების რეგულირების შესახებ 1969 წლის კონვენციის მე-8(1) მუხლის და ლტოლვილთა შესახებ კართაგენის 1984 წლის დეკლარაციის მე-2(ე) ვალდებულების შესაბამისად.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები განმარტავს UNHCR-ის ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ სახელმძღვანელოს 164-ე პარაგრაფს 1951 წლის კონვენციის საფუძველზე და სხვა მხრივ ავსებს ამ სახელმძღვანელოს. მათი წაკითხვა უნდა მოხდეს საერთაშორისო დაცვის შესახებ UNHCR-ის სხვა სახელმძღვანელო პრინციპებთან კავშირში.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები შეიქმნა ფართო კონსულტაციების შედეგად და მიზნად ისახავს უზრუნველყოს განმარტებითი მითითებები მთავრობებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის და სასამართლო ორგანოებისთვის, ასევე, UNHCR-ის თანამშრომლებისთვის, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის დადგენის საკითხებზე მუშაობენ.

UNHCR-ის სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის თანახმად, იხ. ბმულზე: <http://www.refworld.org/docid/4f33c8d92.html>.

საერთაშორისო დაცვის შესახებ მომავალი სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე საჯარო კონსულტაციების დაწყებასთან დაკავშირებული მასალები განთავსდება შემდეგ ბმულზე: <http://www.unhcr.org/544f59896.html>.

შინაარსი

I. შესავალი.....	4
ა. მიზანი და ტერმინოლოგია.....	4
ბ. დამოკიდებულება 1951 წლის კონვენციის/1967 წლის ოქმის მიხედვით ლტოლვილის ცნების განსაზღვრებასა და რეგიონულ განსაზღვრებებს შორის, და ევროპის კავშირის სუბსიდიური დაცვა	7
სუბსიდიური დაცვა ევროპის კავშირის ფარგლებში.....	8
II. 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის არსებითი ანალიზი	9
ა. დევნის საფუძვლიანი შიში.....	10
საერთაშორისო ჰუმანიტარული და სისხლის სამართლის აქტუალობა.....	11
გადახვევები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე	13
გადახვევები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე	14
ინდივიდუალური და ჯგუფური რისკები	15
რისკის დონე.....	15
განურჩეველი რისკი.....	16
რისკის შეფასება მომავლის გათვალისწინებით	16
სექსუალური და გენდერთან დაკავშირებული დევნა	17
დევნის აგენტები.....	18
<i>Sur place</i> ლტოლვილები.....	20
ბ. “კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველზე “დაყრდნობით”.....	20
მიზეზ-შედეგობრიობა.....	21
კონვენციის საფუძვლები.....	22
გ. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა.....	24
III. აფრიკის ერთობის ორგანიზაციის (OAU) აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლის არსებითი ანალიზი.....	26
ა. წინასწარი მოსაზრებები განმარტებისთვის.....	27
OAU 1969 წლის კონვენციის ფარგლები	28
ბ. OAU 1969 წლის კონვენციის განსაზღვრების ელემენტები.....	28
პირის იძულება დატოვოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.....	29
<i>sur place</i> ლტოლვილები.....	29
მაიძულებელი სიტუაციები.....	11
გ. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა.....	32
IV. კართაგენის 1984 წლის დეკლარაციის III(3) დასკვნის არსებითი ანალიზი	33
ა. წინასწარი მიმოხილვა განმარტების წარმართვისთვის.....	33
კართაგენის დეკლარაციის ლტოლვილის განსაზღვრების ფარგლები.....	34
ბ. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები	35
<i>sur place</i> ლტოლვილები	36
გაქცევის მაიძულებელი გარემოებები	37
სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების საფრთხე	38
ბანდების ან ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფების მიერ	

განხორციელებული ძალადობა	39
C. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა.....	40
V. პროცედურული და მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საკითხები.....	41
A. 1951 წლის კონვენციის/1967 წლის ოქმისა და რეგიონული განსაზღვრებების გამოყენების მეთოდები	41
B. ფაქტების დადგენა.....	42
წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია	42
მტკიცების ტვირთი.....	43

I. შესავალი

ა. ფარგლები და ტერმინოლოგია

1. შეიარაღებული კონფლიქტები და ძალადობა დღეისათვის ლტოლვილთა გადაადგილების ძირითადი გამომწვევი მიზეზია. ასეთი სიტუაციების უმეტესობა პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური, სოციალური ან გენდერული ხასიათის დევნას წარმოშობს. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია¹ და/ან მისი 1967 წლის ოქმი² (1951 წლის კონვენცია) პირდაპირ მიესადაგება სამოქალაქო პირებს, რომლებიც გადაადგილებულნი არიან შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა გამო.

2. ეს სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებთან დაკავშირებული ლტოლვილის სტატუსის განაცხადის შეფასებისთვის არსებითი და პროცედურული მითითებების უზრუნველყოფას, და ლტოლვილის შესახებ 1951 წლის კონვენციითა და რეგიონული დოკუმენტებით დადგენილი ლტოლვილის განსაზღვრებების თანმიმდევრული გამოყენების ხელშეწყობას.³

3. ამ სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია მითითებები ლტოლვილის განსაზღვრების ჩართვის ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში:

- 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლი და მისი 1967 წლის ოქმი (ამ სახელმძღვანელო პრინციპების ნაწილი II),
- აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების რეგულირების შესახებ 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლი (1969 წლის OAU კონვენცია)⁴ (ამ სახელმძღვანელო პრინციპების ნაწილი III), და
- ლტოლვილთა შესახებ კართაგენის 1984 წლის დეკლარაციის (კართაგენის დეკლარაცია) დასკვნა III (3) (ამ სახელმძღვანელო პრინციპების ნაწილი IV).⁵

ამ სახელმძღვანელო პრინციპებში ლტოლვილის რეგიონული განსაზღვრებების ჩართვა დაკავშირებულია მათ გამოყენებასთან ლტოლვილის სტატუსის განაცხადების მიმართ, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტთან და ძალადობასთან არის დაკავშირებული, და იგი ზიანს არ აყენებს ამ განსაზღვრებათა გამოყენებას სხვა სიტუაციებთან მიმართებით.

¹კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ (1951 წლის 28 ივლისი), 189 UNTS 137 (1951 წლის კონვენცია), <http://www.refworld.org/docid/3be01b964.html>.

²ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული ოქმი (1967 წლის 31 იანვარი), 606 UNTS 267 (1967 წლის ოქმი), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3ae4.html>.

³ამ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების წინაპირობებისა და მიზეზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. UNHCR, დასკვნითი მოსაზრებები შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სხვა სიტუაციებიდან გამოქცეულ პირთა საერთაშორისო დაცვის შესახებ; მრგვალი მაგიდა, 2012 წლის 13 და 14 სექტემბერი, ქეიფთაუნი, სამხრეთი აფრიკა, 2012 წლის 20 დეკემბერი (“UNHCR Cape Town Summary Conclusions”), <http://www.refworld.org/docid/50d32e5e2.html>.

⁴OAU კონვენცია აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემის კონკრეტული ასპექტების შესახებ (1969 წლის 10 სექტემბერი), 1001 UNTS 45 (1969 OAU Convention), <http://www.refworld.org/docid/3ae6b36018.html>.

⁵კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ, კოლოქიუმში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში, 1984 წლის 22 ნოემბერი, (კართაგენის დეკლარაცია), <http://www.refworld.org/docid/3ae6b36ec.html>. კართაგენის 1984 წლის დეკლარაცია მიეკუთვნება სამართლებრივად არასავალდებულო რეგიონულ დოკუმენტს ხელშეკრულებათა შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 1(ა) მუხლის მნიშვნელობით, (1969 წლის 23 მაისი) 1155 UNTS 331.

4. ეს სახელმძღვანელო პრინციპები არ ეხება გამორიცხვის⁶ ან შეწყვეტის⁷ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარულ ბუნებასთან,⁸ ან განაცხადებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან,⁹ რომლებიც სხვა სახელმძღვანელო პრინციპებშია განხილული. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ასევე არ ეხება ლტოლვილის სტატუსის *prima facie* აღიარებას, რომელიც განხილულია სახელმძღვანელო პრინციპებში საერთაშორისო დაცვის შესახებ N11.¹⁰ თუმცა იგი ეხება ურთიერთკავშირს 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის დეფინიციასა და ლტოლვილის რეგიონულ დეფინიციებს შორის, დაგანიხილავს, თუ რომელი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა დეფინიციების მისადაგების დროს (ამ სახელმძღვანელო პრინციპების 86-ე და 88-ე პარაგრაფები). ეს სახელმძღვანელო პრინციპები ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილის სტატუსზე და დეტალურად არ განიხილავს საერთაშორისო დაცვის სუბსიდიურ ან დამატებით ფორმებს.¹¹

5. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნისთვის, ფრაზა „შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციები“ ნიშნავს სიტუაციებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალადობის ისეთი მატერიალური დონე ან გავრცელების ფარგლები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე. ასეთი სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს ძალადობას სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტებს შორის, ორგანიზებული ბანდების¹² ჩათვლით, და ძალადობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, ასეთი სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს ძალადობას ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, სახელმწიფოთა და არასახელმწიფო შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, ან სხვადასხვა შეიარაღებულ არასახელმწიფო ჯგუფებს შორის. ლტოლვილის სტატუსის დასადგენად აუცილებელი ან გადამწყვეტი არ არის შეიარაღებული ჯგუფის რაიმე კონკრეტული კლასიფიცირება, მაგალითად, დანაშაულებრივ ან პოლიტიკურ ჯგუფებად. ამასთანავე, ამ სახელმძღვანელო

⁶ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 5: გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის მუხლი 1F ლტოლვილის სტატუსის შესახებ*, 2003 წლის 4 სექტემბერი, HCR/GIP/03/05, <http://www.refworld.org/docid/3f5857684.html>. იხ. აგრეთვე, *სახელმძღვანელო პრინციპები გამორიცხვის დებულებების გამოყენების შესახებ მასიური გადაადგილების სიტუაციებში, ლტოლვილის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის საფუძველზე*, 2006 წლის 7 თებერვალი, <http://www.refworld.org/docid/43f48c0b4.html>.

⁷ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 3: ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1C(5) და (6) მუხლის საფუძველზე (დებულებები „შეწყვეტის გარემოებათა“ შესახებ)*, 2003 წლის 10 თებერვალი, HCR/GIP/03/03, <http://www.refworld.org/docid/3e50de6b4.html>.

⁸ EXCOM Conclusion No. 94 (LIII), 2002, პარ. (c)(viii). UNHCR, *ოპერატიული სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარული ბუნების უზრუნველყოფის შესახებ*, 2006 წლის სექტემბერი, <http://www.refworld.org/docid/452b9bca2.html>.

⁹ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 10: ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A (2) მუხლისა და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით*, 2013 წლის 3 დეკემბერი, HCR/GIP/13/10/Corr. 1, (“UNHCR სახელმძღვანელო პრინციპები სამხედრო სამსახურის შესახებ”), <http://www.refworld.org/docid/529ee33b4.html>.

¹⁰ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 11: Prima Facie ლტოლვილის სტატუსის მინიჭება*, 2015 წლის 24 ივნისი, HCR/GIP/15/11, (“UNHCR *Prima Facie* ლტოლვილის სტატუსის მინიჭება”), <http://www.refworld.org/docid/555c335a4.html>.

¹¹ ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-9 პარაგრაფში არის მითითება 1951 წლის კონვენციასა და ევროპის კავშირის სამართლით აღიარებული სუბსიდიური დაცვის სტატუსს შორის.

¹² UNHCR, *მითითებები ორგანიზებული ბანდების მსხვერპლთათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ*, 2010 წლის 31 მარტი (“UNHCR ორგანიზებულ ბანდებთან დაკავშირებული მითითებები”), <http://www.refworld.org/docid/4bb21fa02.html>.

პრინციპებში მითითებული შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა ზოგიერთი გარემოება შეიძლება მიკუთვნებული იყოს საერთაშორისო (IAC)¹³ ან არასაერთაშორისო (NIAC)¹⁴ შეიარაღებული კონფლიქტის კატეგორიას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) მნიშვნელობის ფარგლებში, თუმცა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის ასეთი კატეგორიზაცია არ მოითხოვება.¹⁵ შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის მრავალი სიტუაცია შეიარაღებულ კონფლიქტად არ არის აღიარებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზნებისთვის, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებული საშუალებები და მისი შედეგები შესაძლოა ასეთი ძალადობის ან ზიანის მსგავსი იყოს. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა აღწერისთვის გადაწყვეტილების მიმღები პირები ასევე იყენებენ სხვა კატეგორიებსაც - როგორცაა, საყოველთაო¹⁶ ან განურჩეველი¹⁷ ხასიათის ძალადობა. ასეთი მახასიათებლების მიუხედავად, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შეფასებისთვის ერთი და იგივე მეთოდი გამოიყენება - საჭიროა ლტოლვილის განსაზღვრების სრული და ინკლუზიური მისადაგება არსებული სიტუაციისთვის, როგორც ეს ამ სახელმძღვანელო პრინციპებში არის განსაზღვრული.

ბ. დამოკიდებულება 1951 წლის კონვენციის/1967 წლის ოქმის მიხედვით ლტოლვილის ცნების განსაზღვრებასა და რეგიონულ განსაზღვრებებს შორის, და ევროპის კავშირის სუბსიდიური დაცვა

6. რეგიონული დოკუმენტები ლტოლვილთა შესახებ, როგორცაა, 1969 წლის კონვენცია

¹³ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მუხლი 2(1), მათ შორის, ჟენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ (ჟენევის მეოთხე კონვენცია), 1949 წლის 12 აგვისტო, 75 UNTS 287, <http://www.refworld.org/docid/3ae6b36d2.html> და 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის მუხლი 1(4), საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (ოქმი 1), 1977 წლის 8 ივნისი, 1125 UNTS 3, (“ჟენევის კონვენციების ოქმი 1”), <http://www.refworld.org/docid/3ae6b36b4.html>. იხ. აგრეთვე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), როგორ არის განმარტებული ტერმინი ‘შეიარაღებული კონფლიქტი’ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში?, 2008 წლის მარტი, გვ. 1-3, <http://www.refworld.org/docid/47e24eda2.html> და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), 2016 წლის ოქტომბერი, 32IC/15/11, <http://www.refworld.org/docid/58047a764.html>.

¹⁴ ჟენევის 1949 წლის კონვენციების მე-3 საერთო მუხლი, ჟენევის მეოთხე კონვენციის ჩათვლით, იხ. ზემოთ, სქოლიო 13, და 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის მუხლი 1, და დაკავშირებული არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (ოქმი II), 1977 წლის 8 ივნისი, 1125 UNTS 609, (“ჟენევის კონვენციების ოქმი II”), <http://www.refworld.org/docid/3ae6b37f40.html>. იხ. აგრეთვე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) 2008, ზემოთ - სქოლიო 13.

¹⁵ ანალოგიურად, ეს არის ევროპის კავშირის სასამართლოს (CJEU) პოზიცია ევროპის კავშირის საკვალიფიკაციო დირექტივაში შიდა შეიარაღებული კონფლიქტის მიმართ, *Aboubacar Diakité v. Commissaire général aux réfugiés et aux apatrides*, C-285/12, ევროპის კავშირი: ევროპის კავშირის სასამართლო, 2014 წლის 30 იანვარი, პარ. 23, <http://www.refworld.org/docid/52ea51f54.html>. CJEU-მ მიიჩნია, რომ ‘მართალია, [საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი] შექმნილია იმისთვის, რომ კონფლიქტის ზონებში სამოქალაქო მოსახლეობა დაიცვას ადამიანებზე და საკუთრებაზე ომის ზემოქმედების შეზღუდვით, იგი არ ... უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვის მინიჭებას კონკრეტული სამოქალაქო პირებისთვის, რომლებიც არიან როგორც კონფლიქტის ზონის, ისე დაპირისპირებული მხარეების ტერიტორიის გარეთ’.

¹⁶ იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების პარ. 71-73.

¹⁷ ევროპის კავშირში, საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, ტერმინი ‘განურჩეველი ძალადობა’ გამოიყენება ევროპის კავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის მე-15(გ) მუხლში. CJEU-ის შესაბამისად, განურჩეველი ძალადობა ‘გულისხმობს, რომ იგი შეიძლება გავრცელდეს ადამიანებზე მათი პერსონალური გარემოებების მიუხედავად’, *Elgafaji v. Staatssecretaris van Justitie*, C-465/07, ევროპის კავშირი, ევროპის კავშირის სასამართლო, 2009 წლის 17 თებერვალი, პარ. 34, <http://www.refworld.org/docid/499aeee52.html>.

აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების რეგულირების შესახებ (OAU) და კართაგენის დეკლარაცია, ავსებს 1951 წლის კონვენციას/1967 წლის ოქმს, რომელიც კვლავ წარმოადგენს ლტოლვილთა დაცვის საყოველთაო და უპირველეს დოკუმენტს.¹⁸ ყოველ რეგიონულ დოკუმენტში ჩართულია 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის ცნების განსაზღვრება და ასევე მოცემულია ლტოლვილთან დაკავშირებული ეგრეთ წოდებული ფართო კრიტერიუმები (შემდგომში, „რეგიონული განსაზღვრებები“). ორივე დოკუმენტი - 1969 წლის კონვენცია აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების რეგულირების შესახებ და კართაგენის დეკლარაცია - მიზნად ისახავს ლტოლვილთა დაცვას კონკრეტულ ჰუმანიტარულ სიტუაციებში, მათი წარმოშობის ქვეყანაში შექმნილი კონკრეტული სიტუაციის ან გარემოებათა გამო გამოქცეულ ადამიანთა მასიური შემოსვლის ჩათვლით.¹⁹

7. ზოგიერთი ფაქტობრივი სიტუაცია მიუთითებს 1951 წლის კონვენციის განსაზღვრებისა და რომელიმე რეგიონული განსაზღვრების ერთდროული გამოყენების აქტუალობასა და შესაბამისობაზე ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური მოთხოვნის მიმართებით და წარმოშობს კითხვებს თუ რომელი განსაზღვრებები იქნეს გამოყენებული (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების 86-ე - 88-ე პარაგრაფები). სხვა სიტუაციებში, პირი შეიძლება ლტოლვილი იყოს რომელიმე რეგიონული განსაზღვრების საფუძველზე, მაგრამ - არა 1951 წლის კონვენციის განსაზღვრებისა, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვერ ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ამ პირის დევნის მიმართ შიშსა და კონვენციურ საფუძველს შორის. ასეთ გარემოებებში, რეგიონული განსაზღვრებები აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ ისარგებლონ ლტოლვილის სტატუსით.

8. ორი რეგიონული განსაზღვრების ფორმულირება ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება, მაგრამ სიტუაციები და გარემოებები, რომლებზედაც ისინი მიუთითებენ და რომლებიც მათ უნდა მოიცვან - ძირითადად შეიძლება ასიმილირებული იქნეს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული განსაზღვრებები დეტალურია, არც ერთი რეგიონული დოკუმენტი არ ისახავს მიზნად უზრუნველყოს ყოვლისმომცველი განსაზღვრება ყოველი სიტუაციისთვის, რომელშიც პირი იძულებული ხდება დატოვოს თავისი წარმოშობის ქვეყანა და გადაკვეთოს საერთაშორისო საზღვარი. რაც შეეხება უფლებებს, 1951 წლის კონვენცია და რეგიონული დოკუმენტები, თითოეული აღიარებს პირს ლტოლვილად და უზრუნველყოფს 1951 წლის კონვენციით დადგენილი უფლებების გამოყენებას.²⁰ აქედან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში, კონკრეტულ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისად პირს ლტოლვილად აღიარებენ, მატერიალური შედეგი არ ექნება. თუმცა იურიდიული დამაჯერებლობის მიზნებისთვის, საჭიროა

¹⁸EXCOM Conclusion No. 87 (L) 1999, პარ. (f) და EXCOM Conclusion No. 89 (LI) 2000. იხ. აგრეთვე, OAU 1969 წლის კონვენცია; ზემოთ, სქოლიო 4, პრეამბულის მეცხრე აბზაცი, სადაც მითითებულია 1951 წლის კონვენციაზე და 1967 წლის ოქმზე, როგორც საბაზისო და საყოველთაო დოკუმენტზე ლტოლვილთა დაცვის მიზნებისთვის.

¹⁹UNHCR, სახელმძღვანელო პირობები Prima Facie აღიარების შესახებ, ზემოთ, სქოლიო 10, პარ. 5.

²⁰OAU 1969 წლის კონვენცია აღიარებს 1951 წლის კონვენციის უფლებებს ლტოლვილებისთვის, რომლებიც OAU 1969 წლის კონვენციით არიან აღიარებულნი, იხ. OAU 1969 წლის კონვენცია, ზემოთ, სქოლიო 4, პრეამბულის მეათე აბზაცი და მუხლი VIII(2). იხ. აგრეთვე, M Sharpe, “1969 წლის აფრიკული კონვენცია: ინოვაციები, მცდარი კონცეფციები და ხარვეზები“ *McGill Law Journal* (2012) 58, გვ. 126-145. კართაგენის დეკლარაცია ასევე აღიარებს 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა III(3) დაცვის შესაბამისად და ასევე მკაფიოდ მოუწოდებს რეგიონის ქვეყნებს ლტოლვილთა მიმართ მოპყრობისთვის გამოიყენონ 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ასევე, იმის აღიარებისთვის, რომ ოჯახის გაერთიანება ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს; იხ. კართაგენის დეკლარაცია, ზემოთ, სქოლიო 5, დასკვნა III(1), III(8) და III(13)

თითოეული განსაზღვრების სათანადო განმარტება, და რეკომენდირებულია თანმიმდევრული მიდგომა სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი (იხ. პარაგრაფები 86 - 88). გადაწყვეტილების მიმღებთ ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ დაცვის რეგიონული სისტემები, მათი შექმნის მიზნიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ შეავსოს და განამტკიცოს 1951 წლის კონვენციით დადგენილი რეჟიმი.²¹

სუბსიდიური დაცვა ევროკავშირის ფარგლებში

9. ევროპის კავშირის საკვალიფიკაციო დირექტივა (გადასინჯული) სუბსიდიურ დაცვას უზრუნველყოფს, რომელიც 1951 წლის კონვენციით/1967 წლის ოქმით გათვალისწინებული ლტოლვილის დაცვის დამატებით დაცვის ფორმას წარმოადგენს.²² ეს ეხება იმ პირებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის კრიტერიუმებს, მაგრამ “სერიოზული ზიანის რეალური რისკის წინაშე დგანან, *inter alia*, როდესაც სამოქალაქო პირის სიცოცხლეს ან მის პიროვნებას სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე ემუქრება საერთაშორისო ან შიდა კონფლიქტის სიტუაციებში განურჩეველი ძალადობის გამო”.²³ ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოებების დროს შეიძლება მოხდეს 1951 წლის კონვენციითა და სუბსიდიური დაცვით განსაზღვრული ლტოლვილის დაცვის კრიტერიუმების ურთიერთგადაფარვა. ლტოლვილის დაცვის უპირატესობისა და სუბსიდიური დაცვის შეზღუდული ფარგლების გამო - რადგან იგი გამოიყენება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ლტოლვილად არ არიან დაკვალიფიცირებულნი, შეიარაღებულ კონფლიქტთან და ძალადობასთან დაკავშირებული ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნები, უპირველეს ყოვლისა, ლტოლვილის დაცვის კრიტერიუმების შესაბამისად უნდა შეფასდეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს, მოთხოვნა უნდა შეფასდეს სუბსიდიური დაცვის კრიტერიუმების თანახმად.²⁴

²¹EXCOM Conclusion No. 89 (LI), 2000 და EXCOM Conclusion No. 103 (LVI), 2005, მათ შორის პარ. (b).

²²ევროპის კავშირი: ევროპის კავშირის საბჭო, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა 2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირების სტანდარტების, ლტოლვილთა ან სუბსიდიური დაცვის უფლების მქონე პირთა ერთიანი სტატუსის, და მინიჭებული დაცვის შინაარსის შესახებ (განახლებული), 2011 წლის 20 დეკემბერი, გვ. 9-26, პრეამბულა, ციტ. 33, <http://www.refworld.org/docid/4f197df02.html> (“EU Qualification Directive (recast)”). CJEU-მა ალიარა დაცვის ორი განსხვავებული სისტემა საქმეში in *Salahadin Abdulla and Others v. Bundesrepublik Deutschland*, C-175/08; C-176/08; C-178/08 & C-179/08, ევროპის კავშირი: ევროპის კავშირის სასამართლო, 2010 წლის 2 მარტი, პარ. 78, <http://www.refworld.org/docid/4b8e6ea22.html>. იხ. აგრეთვე, EXCOM Conclusion No. 103 (LVI), 2005, პარ. (b), (i) და (k).

²³ ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივა (განახლებული), ზემოთ, სქოლიო 22, მუხლი 2(f), რომლის მიხედვით „სუბსიდიური დაცვის უფლების მქონე პირი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არ არის ლტოლვილად კვალიფიცირებული, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ მოცემულ პირს, მის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირს - ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემთხვევაში, სერიოზული ზიანის საფრთხე ემუქრება, როგორც ეს მე-15 მუხლშია განსაზღვრული, და რომლებზედაც არ ვრცელდება მუხლი 17(1) და (2), ან არ შეუძლია, ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს მიიღოს ამ ქვეყნისაგან დაცვა. სერიოზული ზიანი, როგორც იგი განსაზღვრულია ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივაში, მოიცავს: წარმოშობის ქვეყანაში განმცხადებლის (a) სიკვდილის მისჯას ან სიკვდილით დასჯას; ან (b) წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯას; ან (c) სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს სამოქალაქო პირთა ცხოვრების ან პიროვნების მიმართ საერთაშორისო ან შიდა კონფლიქტის სიტუაციებში განურჩეველი ძალადობის გამო.

²⁴*H. N. v Minister for Justice, Equality and Law Reform, Ireland, Attorney General*, C-604/12, ევროპის კავშირი: ევროპის კავშირის სასამართლო, 2014 წლის 8 მაისი, პარ. 35, <http://www.refworld.org/docid/5375e84f4.html>. ეს არ იქნება შესაბამისობაში ევროპის კავშირის თავმესაფრის ერთიან სისტემასთან, ევროპის კავშირის ხელშეკრულებასთან და 1951 წლის კონვენციასთან, თუ ჯერ მოხდება სუბსიდიური დაცვის

II. 1951 წლის კონვენციის 1ა(2) მუხლის არსებითი ანალიზი

10. ტერმინთა ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად და კონტექსტის ფონზე, ასევე, 1951 წლის კონვენციის საგნისა და მიზნის გათვალისწინებით,²⁵ მუხლი 1ა(2) ეხება პირებს, რომლებიც გაურბიან შეიარაღებული კოფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებს. ფაქტიურად, 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრება ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ლტოლვილებს, რომლებიც დევნას განიცდიან მშვიდობიან პერიოდში თუ „ომის დროს“. ანალიზი 1ა(2) მუხლის საფუძველზე კონცენტრირებულია დევნის მიმართ საფუძველიან შიშზე კონვენციის ერთი ან მეტი საფუძველით. ფრაზა - „პირი, რომელიც იძულებულია, დატოვოს წარმოშობის ქვეყანა საერთაშორისო ან ქვეყანაში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, როგორც წესი, არ მოიაზრება ლტოლვილად 1951 წლის კონვენციის ან 1967 წლის ოქმის საფუძველზე“, რომელიც UNHCR-ის სახელმძღვანელოს 164-ე პარაგრაფში არის მოცემული, გაგებულნი უნდა იქნეს იმგვარად, რომ შემოიფარგლოს იმ სიტუაციებით, სადაც არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დევნის მიმართ პირის საფუძველიან შიშსა და 1951 წლის კონვენციის საფუძველს შორის.

ა. დევნის საფუძველიანი შიში

11. 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების მიზნებისთვის დევნას შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხე, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან თავისუფლებას ემუქრება.²⁶ გარდა ამისა, ნაკლები ზიანის ფორმები შეიძლება ერთობლიობაში წარმოადგენდეს დევნას.²⁷ დისკრიმინაცია შეიძლება იყოს დევნის ტოლფასი, როდესაც დისკრიმინაციული ზომების შედეგად იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც მოცემული პირისთვის აუტანელი ან არსებითი ზიანის მომტანია.²⁸ ანალოგიურად, დევნას შეიძლება წარმოადგენდეს ქმედება, რომელიც სერიოზულად არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-14 და მე-15 პარაგრაფები).²⁹ ის, თუ რამდენად გაუტოლდება ქმედება დევნას, დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ გარემოებებზე, განმცხადებლის ასაკის, სქესის, შეხედულებების, ჯანმრთელობის, გრძნობების და ფსიქოლოგიური განსხვავებების ჩათვლით.³⁰

12. ზემოთ, მე-11 პარაგრაფში მითითებული სტანდარტები, გამოყენებული უნდა იქნეს განსხვავების გარეშე იმ პირთა მიმართ, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებისაგან გარბიან. სხვა სიტუაციებთან შედარებით, შეიარაღებული

კრიტერიუმების გამოყენება, იმიტომ რომ, მაგალითად, შედარებით ადვილ ამოცანად მიიჩნევა ძალადობისა და კონფლიქტის არსებობის დადგენა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ზოგადად ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ვიდრე დევნის მიმართ საფუძველიანი შიში ერთი ან მეტი კონვენციური საფუძველით.

²⁵ EXCOM Conclusion No. 103 (LVI), 2005, პარ. (c).

²⁶ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის საფუძველზე, 2011 წლის დეკემბერი, HCR/1P/4/ENG/REV. 3, პარ. 51, <http://www.refworld.org/docid/4f33c8d92.html> (“UNHCR Handbook”).

²⁷ იქვე, პარ. 53.

²⁸ იქვე, პარ. 54.

²⁹ UNHCR, ექსპერტთა შეხვედრა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთგამდღეირების საკითხზე: შემაჯამებელი დასკვნები, 2011 წლის ივლისი, პარ. 13-21, (“UNHCR Arusha Summary Conclusions”), <http://www.refworld.org/docid/4e1729d52.html>.

³⁰ UNHCR სახელმძღვანელო, სქოლიო 26, პარ. 52 და 55.

კონფლიქტისა და ძალადობის დროს, ზიანის სიმწვავის ან სერიოზულობის უფრო მაღალი დონე არ მოითხოვება იმისთვის, რომ იგი დევნას გაუტოლდეს; არც ის არის მნიშვნელოვანი ან საჭირო, რომ შეფასდეს განმცხადებელი უარეს მოპყრობას ხომ არ დაექვემდებარებოდა, რაც ჩვეულებრივ შესაძლოა „მოსალოდნელი“ იყოს შეიარაღებული კონფლიქტებისა და ძალადობის სიტუაციებში. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის საერთო კონტექსტი შეიძლება ქმნიდეს ზიანის ეფექტს პირის მიმართ და გარკვეულ გარემოებებში წარმოშობდეს ზიანს, რომელიც დევნის ტოლფასია. მაგალითად, გაჭიანურებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა და ძალადობამ შეიძლება სერიოზული გამანადგურებელი შედეგი იქონიოს განმცხადებელთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ან მათ პიროვნულ განვითარებაზე, რისი შეფასებაც უნდა მოხდეს მოცემული პიროვნების ხასიათის, მისი წარსულის, საზოგადოებაში მისი ადგილის, ასაკის, გენდერის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.³¹

13. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებში ხშირად ხდება ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები ან სხვა სერიოზული საზიანო ქმედებები, რომლებიც დევნას უტოლდება. ასეთი სახის დევნა შეიძლება მოიცავდეს: გენოციდს³² და ეთნიკურ წმენდას;³³ წამებას და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმებს;³⁴ გაუპატიურებას და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს;³⁵ სამხედრო სამსახურში იძულებით ჩაბმას, ბავშვების ჩათვლით;³⁶ მძევლად აყვანას და იძულებით ან თვითნებურ გაუჩინარებას; და სერიოზული ზიანის სხვა ფორმათა ფართო სპექტრს, რომლებიც არის შედეგი, მაგალითად, ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-18 და მე-19 პარაგრაფებში აღწერილი გარემოებების.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და სისხლის სამართლის აქტუალობა

14. ზემოთ აღნიშნული ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და სხვა სერიოზული ზიანის გარკვეული ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს სამხედრო დანაშაულს ადამიანის უფლებათა სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში, როდესაც ისინი ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან არის დაკავშირებული, და/ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს, როდესაც ფართომასშტაბიანი ან

³¹ იქვე, პარ. 43. UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 8: ბავშვთა თავშესაფრის მოთხოვნა 1951 წლის კონვენციის და/ან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის 1(A)2 და 1(F) მუხლების კონტექსტში*, 2009 წლის 22 დეკემბერი, HCR/GIP/09/08, პარ. 10, <http://www.refworld.org/docid/4b2f4f6d2.html>.

³² კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ (1948 წლის 9 დეკემბერი) 78 UNTS 277, http://www.refworld.org/doci_d/3ae6b3ac0.html. მუხლი 6, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის რომის სტატუტი (2002 წლის 1 ივლისი) 2187 UNTS 3, (“Rome Statute ICC”), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3a84.html>.

³³ ეთნიკური წმენდა განსაზღვრულია, როგორც ‘მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ჩამოაყალიბა ერთმა ეთნიკურმა ან რელიგიურმა ჯგუფმა სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის კონკრეტული გეოგრაფიული არეალიდან ამოსაძირკვად ძალადობრივი და ტერორზე დაფუძნებული საშუალებებით’, გაეროს უშიშროების საბჭო, *ექსპერტთა კომისიის ანგარიში, რომელიც შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს 780 (1992) რეზოლუციის შესაბამისად*, 1994 წლის 27 მაისი, S/1994/674, <http://www.refworld.org/docid/582060704.htm>

³⁴ ib. inter alia, მუხლი 7, *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* (1966 წლის 16 დეკემბერი) 999 UNTS 171, (ICCPR), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3aa0.html> და კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (1984 წლის დეკემბერი) 1465 UNTS 85, <http://www.refworld.org/docid/3ae6b3a94.html>.

³⁵ ib. ამ სახელმძღვანელო პრინციპების 26-ე და 27-ე პარაგრაფები.

³⁶ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები სამხედრო სამსახურის შესახებ*, ზემოთ, სქოლიო 9, პარ. 35 და 37-41 (ბავშვთა სამხედრო სამსახურში უკანონო ჩართვა).

სისტემატური თავდასხმა ხდება სამოქალაქო მოსახლეობაზე.³⁷ დეპორტაცია და იძულებითი გადაყვანა ან გადაადგილება, ზოგჯერ ეთნიკური წმენდის ან გენოციდის ფორმით, შეიძლება ასევე იყოს ომის დანაშაულის ტოლფასი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში, როდესაც იგი ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ან მასთან არის დაკავშირებული, და/ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, როდესაც სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა ხდება.³⁸

15. ლტოლვილის სტატუსის დადგენის მიზნებისთვის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები შეიძლება ინფორმაციას იძლეოდეს, მაგრამ არ იყოს განმსაზღვრელი იმის დასადგენად, ქმედება უტოლდება თუ არა დევნას 1951 წლის კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში. განმცხადებელს არ მოეთხოვება დაადგინოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ან საერთაშორისო დანაშაულის ფაქტი, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა გააკეთოს დასკვნა, რომ კონკრეტული ზიანი წარმოადგენს დევნას.³⁹ ლტოლვილის სტატუსის დადგენისთვის ვერც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფარგლებში მომხდარი დევნის კრიტერიუმები გამოდგება, რომლებიც საერთაშორისო სისხლის სამართალში არის დადგენილი.⁴⁰ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებისთვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები, უპირატესად იხილავენ ზიანს, რომელიც წარსულში არის ჩადენილი; მათი მანდატი არ ითვალისწინებს უფრო ფართო ჰუმანიტარულ მიზანს, კერძოდ, სამოქალაქო პირებისთვის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფას. ლტოლვილის სტატუსის დადგენისას საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე ან სისხლის სამართალზე დაყრდნობა, მათი მკაცრი განმარტების ფარგლებში, შეიძლება ზიანის მომტანი იქნეს 1951 წლის კონვენციით დადგენილი საერთაშორისო დაცვის ამოცანებისთვის, და არ მოიცვას მისი დაცვით გათვალისწინებულ პირებს, რომელთა სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება.⁴¹ გარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული ქმედება არ არის აკრძალული ადამიანის უფლებათა სამართლის ან საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძველზე, იგი ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ლტოლვილის საერთაშორისო სამართლის მიზნებისთვის ასეთი ქმედება შეიძლება დევნას წარმოადგენდეს.⁴²

³⁷რომის სტატუტი ICC, ზემოთ, სქოლიო 32, მუხლი 7-8.

³⁸UNHCR, არუმას შემაჯამებელი დასკვნები, ზემოთ, სქოლიო 29, პარ. 9 და 10. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, ევაკუაცია შეიძლება მოხდეს უსაფრთხოების ან უპირატესი სამხედრო მიზნებისთვის, *მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის კონვენციის (ჟენევის პირველი კონვენცია) 49-ე მუხლის შესაბამისად*), 1949 წლის 12 აგვისტო, <http://www.refworld.org/docid/3ae6b3694.html>. არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, იხ. ჟენევის კონვენციების ოქმი II, მუხლი 17, ზემოთ, სქოლიო 14.

³⁹ მაგალითად, სისხლის სამართალში მოთხოვნილია, რომ განზრახვა იყოს დისკრიმინაციული, ხოლო დანაშაული უნდა იყოს ნაწილი ფართოდ გავრცელებული ან სისტემატური თავდასხმისა სამოქალაქო მოსახლეობაზე, რაც ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში არ მოითხოვება, იხ. UNHCR, არუმას შემაჯამებელი დასკვნები, ზემოთ, სქოლიო 29, პარ. 15.

⁴⁰რომის სტატუტი ICC, ზემოთ, სქოლიო 32, მუხლი 7(1)(h).

⁴¹UNHCR, არუმას შემაჯამებელი დასკვნები, ზემოთ, სქოლიო 29, პარ. 15.

⁴²მაგალითად, ასეთი მოქმედება შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის ტოლფასი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის დროს თავის მოქმედებას არ წყვეტს, გარდა გადახვევის დებულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როგორცაა, მაგალითად, ICCPR-ის მე-4 მუხლი, ზემოთ, სქოლიო 32. იხ. *საფრთხე ან ბირთვული იარაღის გამოყენება, ექსპერტთა მოსაზრება*, I.C.J. Reports 1996, გვ. 226, საერთაშორისო სასამართლო (ICJ), 1996 წლის 8 ივლისი, პარ. 15, <http://www.refworld.org/docid/4b2913d62.html>; *ექსპერტთა მოსაზრება პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ*, საერთაშორისო სასამართლო (ICJ), 2004 წლის 9 ივლისი, პარ. 106, <http://www.refworld.org/docid/414ad9a719.html>; და ადამიანის უფლებათა

16. ადამიანის უფლებათა შესაბამისი ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ შეზღუდული რაოდენობის ადამიანის უფლებებს საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს.⁴³ როდესაც არსებობს კანონიერი საგანგებო მდგომარეობა, გადახვევას დაქვემდებარებული უფლებების შეზღუდვა აუცილებლად არ ნიშნავს დევნას, თუკი მიღებული ზომები მდგომარეობის სიმძაფრიდან გამომდინარე მოითხოვება.⁴⁴ თუმცა როდესაც ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ხდება ისეთი განმცხადებლის მიმართ, რომელიც ამგვარი სიტუაციიდან გაიქცა, საჭიროა მოხდეს საქმის ყველა გარემოების შეფასება. საგანგებო მდგომარეობა შეიძლება იყოს უკანონო ან მოიცავდეს ზომებს, რომლებსაც მდგომარეობის სიმძაფრე არ მოითხოვს, ან მოიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ უფლებებზე, რომლებიც გადახვევას არ ექვემდებარება.

ინდივიდუალური და ჯგუფის შესაბამისი რისკები

17. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებში, განმცხადებელი შეიძლება იდგეს გამოცალკევების ან მის მიმართ მიზნობრივი დევნის განხორციელების საფრთხის წინაშე. ანალოგიურად, ასეთ სიტუაციებში, დევნის საფრთხის წინაშე შეიძლება იდგეს მთელი ჯგუფი ან მოსახლეობა, როდესაც რისკის ქვეშ ხვდება ჯგუფის ყოველი წევრი.⁴⁵ თემის მრავალი ან ყველა წევრის რისკის წინაშე ყოფნა ვერ უკარგავს ძალას კონკრეტული ინდივიდუალური პირის განაცხადს.⁴⁶ აქ უნდა შემოწმდეს, დევნის

კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი no. 31 [80], პაქტის მონაწილე მხარეებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულებების ბუნება, 2004 წლის მაისი, CCPR/C/21/Rev.1/Add.13, პარ. 11, <http://www.refworld.org/docid/478b26ae2.html>. იხ. აგრეთვე, *AF (Syria)*, [2012] NZIPT 800388, ახალი ზელანდია: იმიგრაციის და დაცვის ტრიბუნალი, 2012 წლის 20 დეკემბერი, პარ. 45 - 49, <http://www.refworld.org/docid/54c127434.html>

⁴³ICCPR, ზემოთ, სქოლიო 34, მუხლი 4. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), *CCPR ზოგადი კომენტარი No. 29: მუხლი 4: გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს*, 2001 წლის 31 აგვისტო, CCPR/C/21/Rev.1/Add.11, (“HRC General Comment 29”), <http://www.refworld.org/docid/453883fd1f.html>, სახელმწიფოებს გადახვევა შეუძლიათ მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული უფლებებიდან, და ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ უკიდურესი სიტუაციების დროს, უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებებისა და არ უნდა იყოს დაფუძნებული დისკრიმინაციაზე, ან არ უნდა იწვევდეს მას. მიღებული ზომები უნდა იყოს პროპორციული და დროებითი, ხოლო გადახვევის შესახებ უნდა შეატყობინონ ადამიანის უფლებათა შესაბამის ორგანოს. რეგიონულ დონეზე, გადახვევის დებულებები მოცემულია ევროპის საბჭოს კონვენციაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, *მე-11 და მე-14 ოქმების შესწორებების გათვალისწინებით*, 1950 წლის 4 ნოემბერი, ETS 5, მუხლი 15, (ECHR), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3b04.html> და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, „სან ხოსეს პაქტი“, კოსტა რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი, მუხლი 27, (ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია) <http://www.refworld.org/docid/3ae6b36510.html>.

⁴⁴*MS (ქრისტიანი კომპტები) Egypt CG v Secretary of State for the Home Department*, [2013] UKUT 00611 (IAC), გაერთიანებული სამეფო: ზედა პალატა (იმიგრაციისა და თავშესაფრის პალატა), 2013 წლის 3 დეკემბერი, პარ. 120, <http://www.refworld.org/docid/52a5b86e4.html>.

⁴⁵ძალადობის განსაკუთრებით ძალიან დონის შედეგად ზოგადად მოსახლეობის ზიანის რისკი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მათ შორის, საქმეში: *Sufi and Elmi v. United Kingdom*, განაცხადი nos. 8319/07 და 11449/07, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011 წლის 28 ივნისი, <http://www.refworld.org/docid/4e09d29d2.html> და *L.M. and Others v. Russia*, განაცხადი nos. 40081/14, 40088/14 და 40127/14, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015 წლის 15 ოქტომბერი, <http://www.refworld.org/docid/561f770f4.html>.

⁴⁶UNHCR, *ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1-ლი მუხლის განმარტება*, 2001 წლის აპრილი, პარ. 21, <http://www.refworld.org/docid/3b20a3914.html>.

მიმართ განმცხადებლის შიში არის თუ არა საფუძვლიანი. დროის განმავლობაში შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის ზემოქმედება კონკრეტულ თემზე, ან, უფრო ზოგადად, სამოქალაქო მოსახლეობაზე, კიდევ უფრო ამკაცრებს - და არ ასუსტებს - კონკრეტული პირის დევნის მიმართ შიშის საფუძვლიანობას.⁴⁷

18. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებში ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს და საფრთხის წინაშე დადგეს მთელი თემი, მაგალითად, საჰაერო დაბომბვის, კასეტური ბომბების, ხელნაკეთი ნაღმების ან ქიმიური იარაღის, საარტილერიო ცეცხლის ან სნაიპერის სროლების, იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობების, სახმელეთო ნაღმების, დანადგარი მანქანების ან თვითმკვლელი ტერორისტების, ან ალყის ტაქტიკის მოქმედებათა შედეგად, რაც ზემოქმედებას ახდენს მთელ მოსახლეობაზე.⁴⁸ ასეთი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა შეიძლება იყოს დევნის ტოლფასი 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში - დამოუკიდებლად ან ერთობლივად.

19. დევნას ასევე შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შედეგი, ამ სიტუაციათა გრძელვადიანი შედეგების ჩათვლით, როგორცაა, სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის მოშლა, დაცვის არ არსებობა და უკიდურესი სიღარიბე. უფრო კონკრეტულად, შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციამ შეიძლება სერიოზული ზემოქმედება იქონიოს კანონის უზენაესობაზე, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებზე და დამხმარე სამსახურებზე. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და სერვისების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის ნაწილობრივი ან სრული კოლაფსი. სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურება, როგორცაა, წყალმომარაგება, ელექტროენერჯის მიწოდება და სანიტარული მომსახურება - შეიძლება შეწყდეს. ასევე შესაძლებელია მოხდეს: დანაშაულის დონის ზრდა; დარბევა და კორუფცია; სურსათის ხარისხის გაუარესება, სურსათის უკმარობა ან შიმშილი; განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; სერიოზული ეკონომიკური დაღმასვლა; საარსებო საშუალებების განადგურება და სიღარიბე. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციათა ეს შედეგები შეიძლება საკმარისად სერიოზული იყოს - დამოუკიდებლად, ან ერთობლივად - იმისთვის, რომ წარმოადგენდეს დევნას და ქმნიდეს დევნის მიმართ საფუძვლიან შიშს. ეს აგრეთვე აქტუალურია მაშინაც, როდესაც დევნის შიში მომდინარეობს არასახელმწიფო აქტორებისაგან (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების პარაგრაფები 28-30).

⁴⁷ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისად: 'კარგად ცნობილ ზოგად რისკზე დაფუძნებული თავშესაფრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, როდესაც ასეთი რისკის არსებობა თავისუფლად შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით სახელმწიფოებზე დაკისრებული ვალდებულება, გაძევების შემთხვევებში, ითვალისწინებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ეს რისკი უნდა შეაფასონ თავიანთი ინიციატივით', იხ. *F.G. v. Sweden*, განაცხადი no. 43611/11, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2016 ლის 23 მარტი, პარ. 126, <http://www.refworld.org/docid/56fd485a4.html>.

⁴⁸კონფლიქტის ინტენსიურობის შეფასებისთვის აქტუალური კრიტერიუმები ჩამოაყალიბა გაერთიანებული სამეფოს თავშესაფრისა და იმიგრაციის ტრიბუნალმა/იმიგრაციის სააპელაციო ორგანო, საქმეში: *AM & AM (Armed Conflict: Risk Categories) Somalia v. Secretary of State for the Home Department*, [2008] UKAIT 00091, გაერთიანებული სამეფო: თავშესაფრისა და იმიგრაციის ტრიბუნალი/იმიგრაციის სააპელაციო ორგანო, 2009 წლის 27 იანვარი, <http://www.refworld.org/docid/4934f7542.html> და გაიმეორა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში: *Sufi and Elmi v. United Kingdom*, ზემოთ, სქოლიო 45, პარ.241 და *L.M. and Others v. Russia*, ზემოთ, სქოლიო 45, პარ. 121

20. გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, პროპაგანდა, რომელმაც შეიძლება შექმნას ან ხელი შეუწყოს შეუწყნარებლობის დამთრგუნავი ატმოსფეროს შექმნას ერთი ან მეტი ჯგუფის მიმართებით, და ხელი შეუწყოს ან გამოიწვიოს დევნის რისკი.⁴⁹

რისკის დონე (ხარისხი)

21. პირის დევნის შიში საფუძვლიანად უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია დადგინდეს - გონივრულ დონეზე - რომ ამ პირისთვის წარმოშობის ქვეყანაში ყოფნა გაუსაძლისი გახდა, ან გახდებოდა გაუსაძლისი.⁵⁰ ეს ალბათობის გამოანგარიშებას არ მოითხოვს,⁵¹ რაც, მაგალითად, დაეფუძნება, მოკლული ადამიანების, დასახიჩრებულების ან გადაადგილებულთა რაოდენობას, მაგრამ მოითხოვს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინფორმაციის შეფასებას განმცხადებლის გარემოებათა მიმართ (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების 89-92 პარაგრაფები ფაქტების დადგენის შესახებ).

განურჩეველი რისკი

22. როგორც ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-17 პარაგრაფში არის აღნიშნული, პირს შეიძლება ჰქონდეს დევნის საფუძვლიანი შიში, რომელსაც სხვა მრავალი ადამიანიც იზიარებს, და რომელიც ერთმანეთის მსგავსია ან ერთი და იმავე დონის არის.⁵² განმცხადებელს, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს და ძალადობას გაურბის, არ მოეთხოვება დაამტკიცოს, რომ ზიანის რისკი მსგავს სიტუაციაში მყოფთა რისკზე უფრო მეტი ან ნაკლებია (ზოგჯერ მას „გარჩევადობის ტესტს“ უწოდებენ).⁵³ სხვა სიტუაციებთან შედარებით, შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებში არც დევნის საფუძვლიანი შიშის რისკის უფრო მაღალი დონის დამტკიცება არის საჭირო.

⁴⁹ მაგალითად, რუანდაში, 1994 წელს, ჰუტუს კონტროლირებულ მასმედიის საშუალებებში ტუტუსის ქალები დაახასიათეს, როგორც „მტრის აგენტები - სატყუარები“, რითაც „შექმნეს ჩარჩო, რამაც განაპირობა ტუტუსის ქალებზე სექსუალური თავდასხმების მოლოდინი, მათთვის მიკუთვნებული როლიდან გამომდინარე“, იხ. *Prosecutor v. Ferdinand Nahimana, Jean-Bosco Barayagwiza, Hassan Ngeze (Judgement and Sentence)*, ICTR-99-52-T, რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTR), 2003 წლის 3 დეკემბერი, პარ. 1079, <http://www.refworld.org/docid/404468bc2.html>.

⁵⁰ UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 42.

⁵¹ *Immigration and Naturalization Service v. Cardoza-Fonseca*, 480 U.S. 421; 107 S. Ct. 1207; 94 L. Ed. 2d 434; 55 U.S.L.W. 4313, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, 1987 წლის 9 მარტი, <http://www.refworld.org/docid/3ae6b68d10.html>, გაანგარიშება დასაშვებად არ იქნა მიღებული, რაზედაც სტივენს ჯ. აღნიშნავს: „სტანდარტის ანალიზი, რომელიც მოამზადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა, შესაბამისობაშია ოქმის განსაზღვრების წარმოშობასთან მიმართებით ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევასთან, ასევე, მრავალი სხვა მეცნიერის დასკვნებთან, რომლებიც ამ საკითხს სწავლობენ. გაეროს განსაზღვრებაში არ არის საშუალება გაკეთდეს დასკვნა, რომ განმცხადებელს აქვს მხოლოდ 10% შანსი იმისა, რომ მას ესვრიან, აწამებენ ან სხვაგვარად მოხდება მისი დევნა, რომ მას არა აქვს „საფუძვლიანი შიში“ მოვლენის განვითარების მიმართ.“

⁵² *Surajnarain and Others v. Minister of Citizenship and Immigration*, 2008 FC 1165, კანადა: ფედერალური სასამართლო, 2008 წლის 16 ოქტომბერი, პარ. 17, <http://www.refworld.org/docid/497f3bdc2.html>.

⁵³ *Minister for Immigration and Multicultural Affairs v. Haji Ibrahim*, [2000] HCA 55, ავსტრალია: ზედა პალატის სასამართლო, 2000 წლის 26 ოქტომბერი, <http://www.refworld.org/docid/3deb737f7.html>, პარ. 66 და 70. ‘დიფერენციალის ტესტი’ განხილული იქნა ბერვიკის ლორდ ლოიდის მიერ საქმეში: *R v. Secretary of State for the Home Department, Ex parte Adan*, CO/872/98, გაერთიანებული სამეფო: ლორდთა პალატა (იურიდიული კომიტეტი), 1998 წლის 2 აპრილი, <http://www.refworld.org/docid/3ae6b6c914.html>. იხ. აგრეთვე, *AM & AM (Armed Conflict: Risk Categories) Somalia v. Secretary of State for the Home Department*, ზემოთ სქოლიო 48, პარ. 72

23. გარდა ამისა, ზოგიერთი სასამართლო მითითებას აკეთებს „გარჩევად რისკზე“, რათა განსაკუთრებით გამოიკვეთოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რისკსა (ანუ, დევნის საფუძვლიანი შიშს) და დევნის მიზეზებს (ანუ, ერთ ან მეტ კონვენციურ საფუძველს) შორის. თუმცა ასეთმა ფორმულიზებამ შეიძლება გამოიწვიოს რისკის ელემენტის შერწყმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოთხოვნასთან - რაც ამ სახელმძღვანელო პრინციპების 32-ე და 33-ე პარაგრაფებშია განხილული, და არ შეესაბამება 1951 წლის კონვენციით დადგენილი ლტოლვილის განსაზღვრების შესაბამის გამოყენებას.⁵⁴

მომავლის რისკის შეფასება

24. 1951 წლის კონვენცია იცავს მათ, ვინც - გადაწყვეტილების მიღების პერიოდში - არის დევნის რისკის ქვეშ მის წარმოშობის ქვეყანაში, იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი უკვე დევნის შედეგად დაზარალებული. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქვს თუ არა პირს დევნის საფუძვლიანი შიში, მოითხოვს საქმესთან დაკავშირებული ყველა აქტუალური ფაქტის შეფასებას მომავლის გათვალისწინებით (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების პარაგრაფები 89-92). თუ არ მოხდა გარემოებათა სათანადო ცვლილებები, პირები, რომლებიც წარსულში დევნის მსხვერპლად იყვნენ მიჩნეული, კვლავ ჩაითვლებიან განგრძობადი რისკის ქვეშ მყოფ პირებად.⁵⁵

25. რისკის შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციათა მრავალი დროებითი მახასიათებლის ცვლილებები. შეიარაღებული კონტროლისა და ძალადობის სიტუაციებისთვის დამახასიათებელია ტერიტორიებზე ან მოსახლეობაზე ძალადობისა და კონტროლის დონის ცვლილება. მაგალითად, მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დროს ძალადობის დონე შედარებით დაბალია, დროთა განმავლობაში შეიარაღებული კონფლიქტის ან ძალადობის სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და გაიზარდოს რისკის დონე, რომელიც დასაბუთებულ შიშს დაადასტურებს. დროის კონკრეტული მომენტისთვის ძალადობის დაბალი დონე შეიძლება გარკვეული მიზეზებით იყოს გამოწვეული, როგორცაა, მხარეთა გადაჯგუფება ან სტრატეგიების შეცვლა, ან ცეცხლის შეწყვეტის დროებითი შეთანხმება. ანალოგიურად, მაშინაც კი, როდესაც ქვეყნის რომელიმე კონკრეტულ კუთხეში ძალადობა ჯერ არ არის დაწყებული, განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციის საერთო კონტექსტისა და ისტორიის, ძალადობის ტრანსპორტისა და ადგილმდებარეობის, მოქმედი ძალების დინამიკის და სხვა პირობების გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს პროგნოზი, რომ ძალადობა იქაც გავრცელდება. წარსულის დევნის შედეგებმა შეიძლება ისევ მიაღწიოს დევნის დონეს, დაპირისპირების დროებითი შეჩერების მიუხედავად, და ეს გულდასმით შეფასებას მოითხოვს. გარდა ამისა, სამშვიდობო და დემობილიზაციის შეთანხმებების განხორციელებისას შეიძლება წარმოიშვას ახალი სამხედრო სუბიექტები, ძალაუფლების ვაკუუმის შესავსებად, ან მოხდეს ჯგუფების კონსოლიდაცია, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ყოფილი წევრები, რომლებსაც იარაღი არ ჩაუბარებიათ და რეინტეგრირებულნი არიან საზოგადოებაში. ეს ასევე მოითხოვს დეტალურ ანალიზს, რაც მუდმივად ვითარდება წარმოშობის ქვეყანაში მომხდარი ადგილობრივი მოვლენების საპასუხოდ.

⁵⁴ ლტოლვილისა სარჩელი No. 71462/99, *Tamil and a Citizen of the Democratic Socialist Republic of Sri Lanka v. Refugee Status Branch of the New Zealand Immigration Service*, 71462/99, ახალი ზელანდია: ლტოლვილის სტატუსის სააპელაციო ორგანო, 1999 წლის 27 სექტემბერი, <http://www.refworld.org/docid/3ae6b73cc.html>.

⁵⁵ UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 45.

26. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მრავალი სიტუაციისთვის დამახასიათებელია სექსუალურ და გენდერის საფუძველზე განხორციელებული დევნის ფორმები, გაუპატიურების, ადამიანის ტრეფიკინგის, სქესობრივი დამონების და იძულებითი ქორწინების ჩათვლით.⁵⁶ სექსუალურ და გენდერის საფუძველზე განხორციელებული დევნა შეიძლება გამოყენებული იქნეს უკანონო და დანაშაულებრივ ტაქტიკად, სტრატეგიად ან პოლიტიკად შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა განმავლობაში, რათა მოწინააღმდეგე მხარე გატეხონ და დაასუსტონ ქალებისა და გოგონების და/ან კაცებისა და ვაჟების ვიქტიმიზაციით.⁵⁷ ინდივიდუალური მოძალადის მოტივაციის მიუხედავად, სექსუალურ და გენდერზე დაფუძნებული დევნა შეიძლება იყოს სამხედრო ან პოლიტიკური სტრატეგიის წინასწარ განზრახული ელემენტი, რათა, უფრო ფართო მიზნისკენ სწრაფვისას, დაამცირონ, შეურაცხყონ, დააშინონ ან გაანადგურონ სამოქალაქო მოსახლეობა; ან ეს შეიძლება მომდინარეობდეს გენდერის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციისგან, რაც მას კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველთან აკავშირებს.⁵⁸

27. სექსუალურ ან გენდერის საფუძველზე განხორციელებული ძალადობის, წამების და სხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მრავალი მსხვერპლი ტანჯვას შეიძლება განიცდიდეს თავდაპირველი ქმედების ან შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის დასრულების შემდეგაც. ისინი შესაძლოა იდგნენ განმეორებითი ზიანის⁵⁹

⁵⁶UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ *N 1: გენდერთან დაკავშირებული დევნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლისა და მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში*, 2002 წლის 7 მაისი, HCR/GIP/02/01, პარ. 9, (“UNHCR Gender-Persecution Guidelines”), <http://www.refworld.org/docid/3d36f1c64.html>. UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ *N 9: განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში*, 2012 წლის 23 ოქტომბერი, პარ. 20, (“UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის შესახებ”), <http://www.refworld.org/docid/50348afc2.html>. მაგალითად, გაუპატიურება განხილული იქნა ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევად, რომელიც დევნის შემცველია, საქმეში: *SS (Adan - Sexual Violence - UNHCR Letter) Burundi v. Secretary of State for the Home Department*, CG [2004] UKIAT 00290, გაერთიანებული სამეფო: თავშესაფრისა და იმიგრაციის ტრიბუნალი/იმიგრაციის სააპელაციო ორგანო, 2004 წლის 29 ოქტომბერი, პარ. 16, <http://www.refworld.org/docid/46836b180.html>. გაეროს გენერალური მდივანი (UNSG), სექსუალური ძალადობა კონფლიქტის დროს: გენერალური მდივნის მოხსენება, 2013 წლის 14 მარტი, A/67/792-S/2013/149, (“UNSG Report sexual violence in conflict”), <http://www.refworld.org/docid/5167bd0f4.html>.

⁵⁷იხ. მაგალითად, *Prosecutor v. Issa Hassan Sesay, Morris Kallon and Augustine Gbao (the RUF accused) (Trial judgment)*, Case No. SCSL-04-15-T, სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლო, 2009 წლის 2 მარტი, პარ. 1347, <http://www.refworld.org/docid/49b102762.html>. *In re B (FC) (Appellant) (2002). Regina v. Special Adjudicator, Ex parte Hoxha (FC)*, [2005] UKHL 19, გაერთიანებული სამეფო: ლორდთა პალატა (იურიდიული კომიტეტი), 2005 წლის 10 მარტი, პარ. 30, <http://www.refworld.org/docid/423ec7784.html>. უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2106 (2013) [სექსუალური ძალადობის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის დროს]*, 2013 წლის 24 ივნისი, S/RES/2106 (2013), პარ. 1, <http://www.refworld.org/docid/51d6b5e64.html>.

⁵⁸UNHCR, ქეიფთაუნის შემაჯამებელი დასკვნები, ზემოთ, სქოლიო 3, პარ. 25 და 26. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 5.

⁵⁹*Matter of A-T*, 25 I&N Dec. 4 (BIA 2009), ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციის სააპელაციო საბჭო, 2009 წლის 4 ივნისი, <http://www.refworld.org/docid/4a293b4a2.html>. *Bahv. Y-, Diallo v. Department of Homeland Security, Diallo v. Department of Homeland Security*, 529 F.3d 99, 103 (2d Cir. 2008), ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლო. მეორე ინსტანციისთვის, 2008 წლის 11 ივნისი, <http://www.refworld.org/docid/48d8a32c2.html>.

და/ან ფსიქოლოგიური გართულებების რისკის წინაშე მათი მიერ გადატანილი ზიანის გამო, რაც შეიძლება თავისთავად იყოს დევნის ტოლფასი,⁶⁰ განსაკუთრებით, როდესაც ადამიანებს უმძიმესი ზიანი მიადგათ, რაც წარმოშობის ქვეყანაში მათ დაბრუნებას აუტანელს გახდის, მაშინაც კი, როდესაც მომავალში ზიანის საფრთხე არ არსებობს.⁶¹

დევნის აგენტები

28. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციაში, დევნა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მიერ, ან შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციაში ჩართული ერთი ან მეტი მხარის მიერ.⁶² ლტოლვილის სტატუსი შეიძლება გარანტირებული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ზიანის საფრთხე ემუქრება ორივე აქტორის ან ამგვარის სიტუაციების მონაწილე ყველა მხარის მხრიდან. დევნის აგენტები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, მისი სამართალდამცავი სტრუქტურების ან უშიშროების ძალების ან სხვა სახელმწიფო ორგანოებისა თუ ჯგუფების წარმომადგენლები, ან პირები, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ არიან, ან რომელთა ქმედებაც სახელმწიფოს მიეწერება.⁶³ სახელმწიფოს შეუძლია გააძლიეროს, წარმართოს, გააკონტროლოს, მხარი დაუჭიროს ან შეეგუოს ეგრეთ წოდებული არასახელმწიფო აქტორების საქმიანობას, იმგვარად, რომ მათი მოქმედებები, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება სახელმწიფოს მიეწეროს.⁶⁴ დევნის აგენტებს ასევე მიეკუთვნებიან არასახელმწიფო აქტორები, როგორც არიან, გასამხედროებული ჯგუფები, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები, აჯანყებულები, ბანდიტები, მეკობრეები, კრიმინალური ბანდები ან ორგანიზაციები,⁶⁵ ტერორისტული ორგანიზაციები, კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიები, ან სხვა ჯგუფები და პირები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებში არიან ჩართული. ამ აქტორთა ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მათი მახასიათებელი შეიძლება ერთი კატეგორიიდან მეორეში გადავიდეს, ან არც ერთ კატეგორიას არ დაექვემდებაროს. არასახელმწიფო აქტორებს შორის ასევე შეიძლება იყვნენ მეზობლები, ოჯახის წევრები და სხვა პირები.

29. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მრავალ სიტუაციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა ყოველთვის მკაფიო არ არის,

⁶⁰*In re B (FC) (Appellant) (2002). Regina v. Special Adjudicator, Ex parte Hoxha (FC)*, ზემოთ, სქოლიო 57, პარ. 36, სადაც ბარონესა ჰეილ რიჩმონდი აღნიშნავს: "შეურაცხყოფისა და ღირსების შელახვის გადატანა საკუთარ თემში, თითოეულს 'ტალახი გქონდეს მოცხებული', იმიტომ რომ ვილაცამ გადაიტანა არასათანადო მოპყრობა განსაკუთრებით მხეცური და დამამაცირებელი გაუპატიურების გზით... ეს არის ადამიანის ღირსების კუმულაციური შელახვა, რაც... სავსებით შესაძლებელია უტოლდებოდეს დევნას".

⁶¹*In re Y-T-L-*, 23 I&N Dec. 601 (BIA 2003), ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციის საბჭო, 2003 წლის 22 მაისი, გვ. 607, <http://www.refworld.org/docid/40449fa94.html>. *Khadija Mohammed v. Alberto R. Gonzales, Attorney General; Khadija Ahmed Mohamed v. Alberto R. Gonzales, Attorney General*, A79-257-632; 03-72265;

⁶²UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 65.

⁶³საერთაშორისო სამართლის კომისია, მუხლების პროექტი საერთაშორისო თვალსაზრისით არამართებულ მოქმედებებზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ, 2001 წლის ნოემბერი, დამატება No. 10 (A/56/10), chp.IV.E.1, მუხლები 4-7, და მუხლი 11, <http://www.refworld.org/docid/3ddb8f804.html>. ზემოაღნიშნული მუხლების პროექტის მე-10 მუხლის შესაბამისად, მემბოხური მოძრაობა ან სხვა მოძრაობა განხილული უნდა იქნეს სახელმწიფოს მოქმედებად საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, როდესაც ეს მოძრაობა ხდება ახალი მთავრობა ან როდესაც იგი ქმნის ახალ სახელმწიფოს მანამდე არსებული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე ან ამ უკანასკნელის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე.

⁶⁴*იქვე*, მუხლი 8 და 9. UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები სამხედრო სამსახურის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 9, პარ. 42.

⁶⁵UNHCR, სახელმძღვანელო ბანდების შესახებ, ზემოთ, სქოლიო 12, პარ. 4.

განსაკუთრებით, ძალაუფლების გადანაცვლების, სიტუაციათა თანხვედრის და მოკავშირეთა შეცვლის დროს, ან როდესაც არასახელმწიფო აქტორები სახელმწიფო ინსტიტუტებში და/ან სამართალდამცავ ორგანოებში ან სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებში შეღწევას ან მათ მოსყიდვას ახერხებენ.⁶⁶ მაგალითად, ასეთი განსხვავება შეიძლება აგრეთვე გაფერმკრთალდეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის, მიმდინარეობის ან მისი წარმატებით დასრულების დროს არსებული გაურკვევლობის ფონზე. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ზუსტად დადგინდეს ვისგან შეიძლება წარმოიშვას ზიანის შიში; როგორც კი საფრთხის არსებობა დადგინდება, იგი საკმარისი იქნება დევნის საფუძვლიანი შიშის დასამტკიცებლად.

30. როდესაც ჩართული არიან არასახელმწიფო აქტორები ან დაუდგენელი აქტორები, აუცილებელია განხილული იქნეს რა ფარგლებში შეუძლია და/ან სურს სახელმწიფოს დევნისაგან დაცვის უზრუნველყოფა.⁶⁷ აქტუალური იქნება შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის მახასიათებლები, რადგან სახელმწიფომ შესაძლოა ვერ მოახერხოს დაზარალებულ მოსახლეობზე დაცვის გავრცელება, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც იგი ვერ აკონტროლებს მის ტერიტორიას ან მოსახლეობას, ან როდესაც ასეთი კონტროლი არის არასტაბილური ან სუსტი. ასეთ სიტუაციებში ასევე შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდეს დაცვის გავრცელების სურვილი.

Sur place ლტოლვილები

31. დევნასთან დაკავშირებული საფუძვლიანი შიში შეიძლება მაშინაც წარმოიშვას, როდესაც განმცხადებელი უკვე წამოსულია თავისი წარმოშობის ქვეყნიდან და იგი ეფუძნება განმცხადებლის არყოფნის პერიოდში იქ განვითარებულ გარემოებებს, და/ან საქმიანობას, რომელშიც განმცხადებელი ჩაერთო მას შემდეგ, რაც მან დატოვა თავისი წარმოშობის ქვეყანა, და ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი ხდება *sur place* ლტოლვილი.⁶⁸ როდესაც ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა დაკავშირებულია შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებთან, განმცხადებელი შეიძლება გახდეს *sur place* ლტოლვილი, მაგალითად, მის წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის განვითარების ან ადრე არსებული მაგრამ ჩამცხრალი შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის გააქტიურების შემთხვევაში;⁶⁹ ან იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული პირი პროტესტს გამოხატავდა შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის მიმართ, ან ასეთი სიტუაციის მიმართ უარყოფითი პოზიცია ჰქონდა.

ბ. კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველზე “დაყრდნობით”

მიზეზ-შედეგობრიობა

32. დევნის შიშსა და 1951 წლის კონვენციის საფუძველს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებისთვის შეიძლება აქტუალური იყოს დევნის აგენტის განზრახვა ან

⁶⁶იხ. მაგალითად, UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ: გვატემალა*; ოქტომბერი 2013, RBA/COI/GUA/13/01, p. 11, <http://www.refworld.org/docid/53832fe84.html>

⁶⁷UNHCR სახელმძღვანელო პრინციპები სამხედრო სამსახურის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 9, პარ. 43.

⁶⁸UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ.94 და 96.

⁶⁹მაგალითად,, მოზამბიკელები, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში იყვნენ 1980 და 1985 წელს, შეიძლება მიჩნეული იქნენ *sur place* ლტოლვილებად, იხ.სამხრეთი აფრიკა: საპასპორტო კონტროლის ინსტრუქცია No. 20, 1994 წელი - სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის სტატუსის დადგენის შესახებ მოზამბიკელებისთვის სამხრეთ აფრიკაში, 1994, პარ. 5 [სახელმძღვანელო პრინციპების] <http://www.refworld.org/docid/3ae6b5082c.html>.

მოტივი. თუმცა დევნის აგენტის განზრახვა ან მოტივი აუცილებელი ან გადაწყვეტი არ არის, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ მისი დადგენა რთულია,⁷⁰ განსაკუთრებით, შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებში. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება ასევე დადგინდეს დევნის აგენტის მიერ ომის წარმოების სტრატეგიების, ტაქტიკის ან საშუალებებისა და მეთოდების მეშვეობით, დაცვის უზრუნველყოფასთან მიმართებაში სახელმწიფოს უუნარობის ან სურვილის არქონით, ან შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის შედეგებით. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა ისარგებლოს პასუხით შეკითხვაზე: პირის შიშის გამომწვევი მიზეზები - ქვეყნის მთლიანი კონტექსტის ფარგლებში - არის თუ არა დაკავშირებული კონვენციურ საფუძველთან?⁷¹

33. რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, გენდერულ ან სოციალურ ჯგუფებად დაყოფა შეიძლება წარმოშობდეს, მოტივაციას ქმნიდეს ან იყოს მამოძრავებელი ძალა შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციების, ან ეს სიტუაციები შეიძლება ადამიანებზე ზემოქმედებას ახდენდეს ამ ფაქტორების გამო. ფაქტობრივად, ის რაც განურჩევლად მოქმედებად შეიძლება ჩანდეს (ანუ მოქმედებად, რომლითაც დევნის აგენტი არ ცდილობს მიზანში ამოიღოს კონკრეტული პირები),⁷² შეიძლება რეალურად დამიზნებული იყოს მთელ თემზე ან ტერიტორიაზე, რომლის მოზინადრენიც რეალურად არიან ან მიიჩნევიან შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის რომელიმე მხარის მხარდამჭერებად. თანამედროვე ეპოქაში, შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციები, იშვიათად ხასიათდება ისეთი ძალადობით, რომელიც რაიმე სახით არ არის მიმართული კონკრეტული მოსახლეობის წინააღმდეგ, ან რომელსაც არა აქვს არაპროპორციული ზემოქმედება კონკრეტულ მოსახლეობაზე, რის საფუძველზეც დგინდება მიზეზ-შედეგობრივ კავშირი კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველთან. საკითხს ვინ მიეკუთვნება ან არის მიჩნეული შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის რომელიმე მხარის მხარდამჭერად - ხშირად ძალიან ფართო განმარტებას აძლევენ მასში ჩართული სუბიექტები, და შეიძლება მოიცავდეს ადამიანთა ფართო სპექტრს, მათ შორის, მეომართა ოჯახის წევრებს, ასევე, იმავე რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის წევრებს, ან კონკრეტულ უბანში, სოფელსა თუ ქალაქში მცხოვრებთ. კონვენციური საფუძველი ჩვეულებრივ მიეწერებათ ადამიანთა ჯგუფებს მათი ოჯახური, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სხვა კავშირების საფუძველზე.⁷³

კონვენციური საფუძველები

34. დევნის შიში შეიძლება ბევრი მიზეზით იყოს გამოწვეული. აქტუალური შეიძლება იყოს ერთი ან მეტი კონვენციური საფუძველი. კონვენციური საფუძველები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და ზოგჯერ თანხვედრა ხდება.⁷⁴ კონვენციური

⁷⁰UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 66. UNHCR სახელმძღვანელო პრინციპები სამხედრო სამსახურის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 9, პარ. 48.

⁷¹ლტოლოვილის სტატუსის მოთხოვნის განაცხადი No. 72635/01, 72635/01, ახალი ზელანდია: ლტოლოვილის სტატუსის მინიჭების ორგანო, 2002 წლის 6 სექტემბერი, პარ. 168, <http://www.refworld.org/docid/402a6ae14.html>. J C Hathaway and M Foster, *ლტოლოვილთა საერთაშორისო სამართალი* (Cambridge University Press, 2014), გვ. 376 – 379.

⁷²*Elgafaji v. Staatssecretaris van Justitie*, სქოლიო 17, პარ. 34.

⁷³ UNHCR, *საერთაშორისო დაცვის განხილვა სირიის არაბთა რესპუბლიკიდან გამოქცეული ადამიანებისთვის, განახლებული ვერსია IV*, 2015 წლის ნოემბერი, პარ. 17, <http://www.refworld.org/docid/5641ef894.html>. *Arrest nr. 122 129, 122 129, Belgium: Conseil du Contentieux des Etrangers*, 4 April 2014, (ნიდერლანდურ ენაზე; თავფურცელი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე), <http://www.refworld.org/docid/582068524.html>.

⁷⁴UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ.67.

საფუძველი შეიძლება მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორი იქნეს; არ არის აუცილებელი იგი იყოს დევნის მიმართ შიშის დომინანტური ან ერთადერთი მიზეზი.

35. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციები ჩვეულებრივ ეფუძნება სხვადასხვა მოტივს, და მათი შედეგები ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ჯგუფებზე. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებში ჩვეულებრივ მონაწილეობენ შერეული ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები, ხოლო მათში მონაწილე მხარეები ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური ხაზის გამტარებლები არიან და ისწრაფვიან - ან მიჩნევა, რომ ისწრაფვიან - პოლიტიკური და/ან რელიგიური მიზნების მიღწევისკენ.

36. მაშინაც კი, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებით გამოწვეული ან ასეთი სიტუაციების დროს გაბატონებული ძალადობრივი ან სხვაგვარად საზიანო ქმედების მოტივი ან მამოძრავებელი ძალა, ერთი შეხედვით, შეიძლება იყოს დანაშაული ან მოგების მიღება, ისინი ჩვეულებრივ დაკავშირებულია კონვენციურ საფუძვლებთან.⁷⁵ მაგალითად, შეიარაღებულმა ჯგუფებმა შეიძლება შექმნან დანაშაულებრივი საწარმოები, რათა დააფინანსონ ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კონფლიქტები, ან ძალადობრივი ბანდები თუ სხვა შეიარაღებული ჯგუფები. ასეთი საწარმო, შეიძლება იყოს, მაგალითად, ნარკოკარტელი, რომელიც განსაკუთრებით მომგებიანია. ისინი აგრეთვე შეიძლება მიზნად ისახავდნენ ჯგუფის პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებას საზოგადოებაზე, რაც ძალადობას პოლიტიკური მოტივაციის ხასიათს ანიჭებს.⁷⁶ პირთა, ასევე, მთელი ტერიტორიის ან მოსახლეობის მიზანში ამოღება, ხშირად ხდება ეთნიკური, რელიგიური და/ან პოლიტიკური მიზნებისთვის ან კავშირებისთვის.

37. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციათა მონაწილე მხარეების სტრატეგიების, ტაქტიკის ან საქმიანობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა ან ნეიტრალური თუ ინდიფერენტული პოზიციის დაკავება, ან უარის თქმა მათთან შეერთებაზე, მხარდაჭერაზე, ფინანსურ დახმარებაზე, მათ მიმართ სიმპათიის გამოხატვაზე ან მოცემული მხარის ნორმებისა და ჩვეულებების მიმართ თანხმობის რაიმე სხვაგვარ გამოხატვაზე, დევნის განმახორციელებლის თვალში გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება დევნის განმახორციელებლის პოლიტიკური მიზნებისთვის, ან მიჩნეული იქნება დევნის განმახორციელებლის რელიგიური თუ სოციალური ნორმებიდან ან პრაქტიკიდან გადახრად.⁷⁷ ასეთი უარის თქმამ, პოზიციამ ან ქცევამ

⁷⁵ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის განაცხადი No. 76289, No. 76289, ახალი ზელანდია: ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ორგანო, 2009 წლის 8 მაისი, პარ.43, <http://www.refworld.org/docid/4a2e2a5e2.html>. *Emilia Del Socorro Gutierrez Gomez v. Secretary of State for the Home Department*, 00/TH/02257, გაერთიანებული სამეფო: თავშესაფრისა და იმიგრაციის ტრიბუნალი/იმიგრაციის სააპელაციო ორგანო, 2000 წლის 24 ნოემბერი, პარ. 43,44, 50, 51 და 73(XI), <http://www.refworld.org/docid/40487df64.html>. *Osorio v. Immigration and Naturalization Service*, 18 F.3d 1017: 1994 U.S. App. LEXIS 4170, აშშ სააპელაციო სასამართლო, მეორე ინსტანციის, 1994 წლის 7 მარტი, <http://www.refworld.org/docid/3ae6b70e7.html>.

⁷⁶ იხ. მაგალითად, *NS (Social Group - Women - Forced Marriage) Afghanistan v. Secretary of State for the Home Department*, CG [2004] UKIAT 00328, გაერთიანებული სამეფო: თავშესაფრისა და იმიგრაციის ტრიბუნალი/იმიგრაციის სააპელაციო ორგანო, 2004 წლის 30 დეკემბერი, პარ. 69, <http://www.refworld.org/docid/42c928984.html>; და *Emilia Del Socorro Gutierrez Gomez v. Secretary of State for the Home Department*, ზემოთ, სქოლიო 75, პარ. 40.

⁷⁷ *RT (Zimbabwe) and others v Secretary of State for the Home Department*, [2012] UKSC 38, გაერთიანებული სამეფო: უზენაესი სასამართლო, 2012 წლის 25 ივლისი, პარ. 42, <http://www.refworld.org/docid/500fdacb2.html>. UNHCR, *Secretary of State for the Home Department (Appellant) v. RT (Zimbabwe), SM (Zimbabwe) and AM(Zimbabwe) (Respondents) and the United Nations High Commissioner for Refugees (Intervener) - Case for the Intervener*, 2012 წლის 25 მაისი, 2011/0011, პარ. 10, <http://www.refworld.org/docid/4fc369022.html>. *Soud Nouné*

შეიძლება დევნის განმახორციელებელს შეუქმნას წარმოდგენა, რომ მოცემულ პირს აქვს პოლიტიკური შეხედულებები ან რელიგიური რწმენა (ან პირიქით, არ აქვს რწმენა), კავშირი აქვს ან მიეკუთვნება კონკრეტულ ეთნიკურ ან სოციალურ ჯგუფს.

38. კონკრეტული ხელობის, პროფესიის ან საქმიანობის მიმდევარი ადამიანები შეიძლება რისკის წინაშე იდგნენ, მაგალითად, მათი რეალური ან მიწერილი პოლიტიკური ან რელიგიური (ან რწმენის არქონის) შეხედულებების გამო.⁷⁸ მათი აქტივობები, როლი ან ადგილი საზოგადოებაში, რომელიც მომდინარეობს ან დაკავშირებულია მათ ხელობასთან, პროფესიასთან ან საქმიანობასთან, შეიძლება მიჩნეული იქნეს მათ რეალურ ან ნავარაუდევ შეხედულებად იმ საკითხებზე, რომლებშიც ჩართულია სახელმწიფო, სამთავრობო, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მანქანა,⁷⁹ განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც კონფლიქტი მიმდინარეობს. მაგალითად, ჟურნალისტები და მასმედიის სხვა სპეციალისტები, და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დამცველები, რომლებმაც შეიძლება ფაქტობრივად ან კრიტიკულად შეაფასონ გარკვეულ აქტორთა ქმედებები, ოპოზიციონერ მებრძოლთა მკურნალი სამედიცინო პერსონალი, - შეიძლება მიჩნეული იქნეს ოპოზიციის მხარდამჭერად; ჰუმანიტარული მუშაკები, რომლებიც მათ ჰუმანიტარულ საქმიანობას აგრძელებენ, შეიძლება „მტრის“ დამხმარედ გამოაცხადონ;⁸⁰ ხოლო რელიგიური ლიდერები შეიძლება უჭერდნენ მხარს რომელიმე მხარეს, ან შეიძლება ასეთად იქნენ მიჩნეულნი.

39. განაცხადები, სადაც გენდერთან დაკავშირებულ დევნაზე არის მითითებული, შეიძლება შეფასდეს კონვენციის ნებისმიერი საფუძვლის გამოყენებით, ანუ, რეალური ან ნავარაუდევი პოლიტიკური შეხედულების, ეთნიკური წარმომავლობის⁸¹ და/ან რელიგიური ან სოციალური ჯგუფის (გენდერის) საფუძვლებით.⁸²

გ. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა

40. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებში შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის აქტუალობა გულდასმით უნდა შეფასდეს. შეიარაღებული

v Secretary of State for the Home Department, C 2000/2669, გაერთიანებული სამეფო: სააპელაციო სასამართლო (ინგლისი და უელსი), 2000 წლის 6 დეკემბერი, Schiemann LJ, პარ. 8(5) და 28(5), <http://www.refworld.org/docid/558bcbad4.html>.

⁷⁸მ. ფოსტერი, 'საფუძველი უმცირესი სიცხადისთვის': 'კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი' კუთვნილებასთან დაკავშირებული იურისპრუდენციის შედარებითი ანალიზი; 2012 წლის აგვისტო, UNHCR PPLA/2012/02, თავი 5.7.3, <http://www.refworld.org/docid/4f7d94722.html>. *Emilia Del Socorro Gutierrez Gomez v. Secretary of State for the Home Department*, ზემოთ, სქოლიო 75, პარ. 46.

⁷⁹G S Goodwin-Gill and J McAdam, *ლტოლვილები საერთაშორისო სამართალში* (Oxford: Oxford University Press, 2007), გვ. 87. *Canada (Attorney General) v. Ward*, [1993] 2 S.C.R. 689, კანადა: უზენაესი სასამართლო, 1993 წლის 30 ივნისი, <http://www.refworld.org/docid/3ae6b673c.html>.

⁸⁰UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები ერაყელი თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლების შეფასებისთვის*, 2012 წლის 31 მაისი, HCR/EG/IRQ/12/03, გვ. 20 და 31, <http://www.refworld.org/docid/4fc77d522.html>.

⁸¹რეალური ან მიწერილი ეთნიკური კუთვნილების საკითხი გათვალისწინებულია კონვენციის საფუძვლებში რასისა და/ან ეროვნების შესახებ, იხ. მაგ., UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 68 და 74, და UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები გენდერზე დაფუძნებული დევნის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 24 (რასა) and 27 (ეროვნება).

⁸²UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები გენდერზე დაფუძნებული დევნის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 25 (რელიგია), 28-31 (კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება), და 32-34 (პოლიტიკური შეხედულება). UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და/ან გენდერული იდენტობის შესახებ, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 42 და 43 (რელიგია), 44-49 (კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება), და 50-54 (პოლიტიკური შეხედულება).

კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებისთვის ხშირად დამახასიათებელია მასშტაბური ბრძოლები, ცვალებადობა, ფრონტის ხაზის გადაადგილება და/ან ძალადობის ესკალაცია, და ხშირად მათში ჩართულია სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორთა ფართო სპექტრი. მათი იდენტიფიცირება ყოველთვის ადვილი არ არის და ისინი მრავალ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მოქმედებენ. გარდა ამისა, ასეთი სიტუაციები ხშირად სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებზე და დამხმარე სისტემებზე (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-19 პარაგრაფი), რაც რთულ მდგომარეობაში აყენებს სამოქალაქო მოსახლეობას. შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციებით დაზარალებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის ჰუმანიტარული მდგომარეობა ხშირად განსაკუთრებით მძიმეა, რასაც, სხვა მიზეზთა შორის, მიწოდების გზების დაბლოკვა, ჰუმანიტარული დახმარების შეკვეცა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა იწვევს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის მრავალ სიტუაციაში, შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა შეიძლება არც რელევანტური იყოს და არც გონივრული.

41. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის არსებობის განხილვა გონივრულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაცია და მისი ზემოქმედება გეოგრაფიულად შემოფარგლულია და ქვეყნის კონკრეტულ ნაწილში არის ლოკალიზებული.⁸³ ასეთ სიტუაციებში საჭიროა გამოკვლეული იქნეს ალტერნატიულად განსაზღვრულ ტერიტორიაზე პრაქტიკული, სამართლებრივი და დაცვის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, მოცემული პირისთვის, და სახელმწიფოსა და სხვა ორგანოების უნარი ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ორგანიზებული და სტაბილური ორგანოს მიერ, რომელიც სრულ კონტროლს ახორციელებს მოცემულ ტერიტორიასა და მის მოსახლეობაზე.⁸⁴ გონივრული იქნება არ გავუთანაბროთ საერთაშორისო ორგანიზაციების ან არასახელმწიფო აქტორების ადმინისტრაციული უფლებამოსილება და კონტროლი ეროვნულ დაცვას, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს.⁸⁵ ასეთი კონტროლი ხშირად გარდამავალი და დროებითი ხასიათისაა და იგი ვერ ახორციელებს სახელმწიფოსთვის საჭირო მთელ რიგ ფუნქციებს, მოქალაქეთა ტერიტორიაზე რეადმისიის შესაძლებლობის ან მთავრობისთვის აუცილებელი სხვა ძირითადი ფუნქციების ჩათვლით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არასახელმწიფო სტრუქტურებს და ორგანოებს სახელმწიფოს მახასიათებლები არ გააჩნიათ. მათ კანონის აღსრულებისთვის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. გარდა ამისა, შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის გონივრულობის განსაზღვრისას, დეტალურად უნდა შეფასდეს, ექნება თუ არა პირს შესაძლებლობა იცხოვროს უსაფრთხო და დაცულ გარემოში, არასაჭირო სიდუხჭირის გარეშე, და იქნება თუ არა დაცული მისი ადამიანის უფლებები. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის ახალ ტერიტორიებზე გავრცელება (ამ სახელმძღვანელო პრინციპების 25-ე და 40-ე პარაგრაფები).⁸⁶ გონივრული

⁸³ UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 91. UNHCR-ის მითითებები შიდა გადაადგილებისა და განსახლების ალტერნატივის შესახებ იხ. UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 4: „შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში. ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული ოქმი*, 2003 წლის 23 ივლისი, HCR/GIP/03/04, (“UNHCR IFA Guidelines”), <http://www.refworld.org/docid/3f2791a4.html>.

⁸⁴ UNHCR, IFA სახელმძღვანელო პრინციპები, ზემოთ, სქოლიო 83, პარ. 17.

⁸⁵ იქვე, პარ. 16 და 17.

⁸⁶ იქვე, პარ. 17 and 27 to 30.

არ იქნება გვერდის მოლოდინი, რომ ვინმე გადაადგილდება აქტიური შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ზონაში.

42. ქვეყნის ერთ კუთხეში იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფნა - იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც საერთაშორისო დახმარებას იღებენ - ქვეყნის ამ კუთხეში შეთავაზებული შიგა გადაადგილების ან განსახლების გონივრულობის უყუარარი მტკიცებულება არ არის.⁸⁷ იძულებით გადაადგილებული პირები ხშირად ვერ სარგებლობენ ძირითადი უფლებებით⁸⁸ და შეიძლება ეკონომიკური განადგურების წინაშე აღმოჩნდნენ, ან შეექმნათ ადეკვატურზე დაბალი ცხოვრების დონის საფრთხე, რაც შეთავაზებული შიდა გადაადგილების ან განსახლების არაგონივრულობის მაჩვენებელი იქნება.⁸⁹ ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობები ზიანისაგან და, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, იმ უფლებების, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია.⁹⁰ გარდა ამისა, ზოგიერთ სიტუაციაში, შიდა გადაადგილება შეიძლება იყოს ეთნიკური წმენდის ან სხვა მსგავსი მოვლენის შედეგი, რომლის დროსაც მოხდა იძულებითი განდევნის და თვითნებური იძულებითი გადაადგილების აკრძალვის დარღვევა - შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე. ასეთ გარემოებებში არ უნდა იქნეს მიჩნეული შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის არსებობის შესაძლებლობა.⁹¹

43. ანალოგიურად, „დაცული ზონები“⁹² ან „უსაფრთხო ზონები“⁹³ და სხვა მსგავსი ტერიტორიები, უცილობლად ვერ იქნება მიჩნეული შიდა გადაადგილების ან განსახლების შესაბამის ან გონივრულ ალტერნატივად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე, მეომარ მხარეებს შორის შეთანხმებით, დაცული ზონები იქმნება, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო მოსახლეობისა და დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სხვა კატეგორიების (მაგალითად, დაჭრილი და ავადმყოფი ადამიანები, დაჭრილი და ავადმყოფი კომბატანტების/მებრძოლების ჩათვლით) დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის შედეგებისაგან. ანალოგიურად, „უსაფრთხო ზონები“ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით შექმნილი სხვა მსგავსი ტერიტორიები, მიზნად ისახავს, თავიდან აიცილოს კონკრეტული ტერიტორიებისა და პირთა მტრის ხელში ჩავარდნა, მაშინაც კი, როდესაც მათი შექმნა და განხორციელება განსხვავდება ადამიანის

⁸⁷ იქვე, პარ.31.

⁸⁸ იქვე, პარ. 32.

⁸⁹ იქვე, პარ. 29. იხ. აგრეთვე, *Sufi and Elmi v. United Kingdom*, ზემოთ, სქოლიო 45, პარ. 291.

⁹⁰ UNHCR, IFA სახელმწიფო პრინციპები, ზემოთ, სქოლიო 83, პარ.28.

⁹¹ იქვე, პარ.31.

⁹² „დაცული ზონები“ არის საერთო ტერმინი, რომელიც გამოიყენება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ (ICRC) ყველა რელევანტური ზონისთვის, რომლებიც 1949 წლის ჟენევის კონვენციებსა და მათ დამატებით ოქმში (I) არის ნახსენები; და იხ. ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის წესები 35-37, გამოცემაში: ჯ.მ. ჰანკერტსი და ლ. დოსვალდ-ბეკი (რედ.), *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, ტომი I: წესები* (Cambridge University Press, 2005), გვ. 119-126. შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში დაცვის ზონების შემქნის სამართლებრივი საფუძვლები იხ. ჯენევის პირველი კონვენციის 23-ე მუხლში, ზემოთ, სქოლიო 38, მუხლი 14 (ჰოსპიტლები და უსაფრთხოების ზონები და ადგილები) და მუხლი 15 (ნეიტრალური ზონები) - ჟენევის მეოთხე კონვენციის, ზემოთ, სქოლიო 13, და მუხლი 59 (დაუცველი ადგილები) და 60 (დემილიტარიზებული ზონები) - ჟენევის კონვენციის ოქმი 1, ზემოთ, სქოლიო 13.

⁹³ რამდენიმე შემთხვევაში, გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწოდა „უსაფრთხო ზონების“ შექმნისკენ, იხ. მაგ., გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 787 (1992), 1992 წლის 16 ნოემბერი; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 819 (1993), 1993 წლის 16 აპრილი; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 824 (1993), 1993 წლის 6 მაისი; 6 May 1993; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 918 (1994), 1994 წლის 17 მაისი; და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 929(1994), 1994 წლის 22 ივნისი.

უფლებათა სამართლით გათვალისწინებული „დაცული ზონებისაგან“. ამ ზონებისა და ტერიტორიების მთავარი მიზნის მიუხედავად, ასეთ ზონებში და ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანთა უსაფრთხოება შეიძლება რისკის ქვეშ აღმოჩნდეს ალყის და ამ ზონებსა თუ ტერიტორიებზე და იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე თავდასხმის შედეგად.

III. აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლის არსებითი ანალიზი

44. აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენციის I(1) მუხლი იმეორებს 1951 წლის კონვენციის 1ა(2) მუხლში მოცემულ ლტოლვილის განსაზღვრებას, 1967 წლის ოქმის შესწორების შესაბამისად,⁹⁴ ხოლო მუხლი I(2) უზრუნველყოფს ლტოლვილთა დაცვას, რომელსაც მიეკუთვნება: „ყოველი ადამიანი, რომელიც მისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში გარე აგრესიის, ოკუპაციის, უცხოური ქვეყნის გაბატონების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვა სერიოზული მოვლენების გამო, იძულებულია დატოვოს მისი მუდმივი საცხოვრებელი და თავშესაფარი სხვა ადგილზე ეძიოს, მისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ“.

ა. წინასწარი მოსაზრებები განმარტებისთვის

45. აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენციის განსაზღვრების გამოყენებისას, უნდა გვახსოვდეს 1951 წლის კონვენციის უპირატესობა, რაც ეფუძნება ლტოლვილთა დაცვის სფეროში მისი, როგორც “ძირითადი და საყოველთაო” დოკუმენტის სტატუსს.⁹⁵ 1967 წლის ოქმის მიღების შემდეგ, რამაც 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა დაცვის სფეროში გლობალური მნიშვნელობა შესძინა, აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენცია ძირითადად ემსახურება აფრიკული ქვეყნების წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებს - კონტინენტზე არსებული ლტოლვილთა კრიზისებზე რეაგირების მიზნით.

46. აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების შესახებ 1969 წლის კონვენცია ფართოდ არის რატიფიცირებული. იგი სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტია,⁹⁶ რომელიც დაცვაზე და ჰუმანიტარულ საკითხებზე⁹⁷ არის ორიენტირებული და ტრანს-აფრიკულ სოლიდარობას გამოხატავს.⁹⁸ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავშესაფრის სისტემას,⁹⁹ გაძევების

⁹⁴1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის საპირისპიროდ, 1969 წლის OAU კონვენციის მუხლი I(1) არ შეიცავს დროის პერიოდთან დაკავშირებულ შეზღუდვას - ‘1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენები’ - საფუძვლიანი შიშისთვის’ ეს შეზღუდვა მოგვიანებით ამოღებული იქნა, 1967 წლის ოქმის მიღების მეშვეობით, მუხლი I(2).

⁹⁵ OAU 1969 წლის კონვენცია, ზემოთ, სქოლიო 5, პრეამბულის მეცხრე აბზაცი.

⁹⁶დღეისათვის 1969 წლის კონვენცია აფრიკის კავშირის 54 სახელმწიფოდან 46 სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული. ჯიმუტიმ, ერითრეამ, მადაგასკარმა, მავრიკიამ, ნამიბიამ, საოტომე და პრინციპალმა და სომალიმ ხელი მოაწერეს OAU 1969 წლის კონვენციას მაგრამ რატიფიცირება არ მოუხდენიათ. ხოლო საჰარის არაბთა დემოკრატიულ რესპუბლიკას არც ხელი მოუწერია და არც რატიფიცირება მოუხდენია OAU 1969 წლის კონვენცია. მაროკო არის OAU 1969 წლის კონვენციის ხელშემკვერელი მხარე, მაგრამ იგი არ არის აფრიკის კავშირის წევრი.

⁹⁷ OAU 1969 წლის კონვენცია, ზემოთ, სქოლიო 4, პრეამბულის მეორე აბზაცი.

⁹⁸ იქვე, პრეამბულის მერვე აბზაცი.

⁹⁹ იქვე, მუხლი II. თავშესაფრის მოთხოვნის და მიღების უფლება აღიარებულია ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული კონვენციის 12(3) მუხლში, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია (OAU), *ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია* („ბანჯულის ქარტია“), 1981 წლის 27 ივნისი, CAB/LEG/67/3 rev. 5, 21 I.L.M. 58 (1982), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3630.html>.

დაუშვებლობის (*non-refoulement*)¹⁰⁰ და დისკრიმინაციის დაუშვებლობის¹⁰¹ პრინციპებს, ლტოლვილთა მოვალეობებს,¹⁰² და გრძელვადიანი გადაწყვეტის ძიებას, ნებაყოფლობითი ხასიათის რეპატრაციის პატივისცემის ჩათვლით.¹⁰³ ასევე ხაზგასმით არის მითითებული აფრიკის კავშირისა და გაეროს ლტოლვილთ უმაღლესი კომისრის (UNHCR) თანამშრომლობაზე.¹⁰⁴ იგი აფრიკის კავშირის ორგანიზაციის (ამჟამად, აფრიკის კავშირი) წევრ სახელმწიფოებს 1951 წლის კონვენციაზე მიერთებისაკენ მოუწოდებს.¹⁰⁵

OAU 1969 წლის კონვენციის ფარგლები

47. ტერმინთა ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, *OAU 1969 წლის კონვენციის* განსაზღვრება ეხება ყველა პირს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და არ შემოიფარგლება იმ პირებით, ვისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყანა აფრიკაში მდებარეობს.

48. *OAU 1969 წლის კონვენციის* მუხლი I(2) ლტოლვილის ასეთი ტიპის პირველი განსაზღვრებაა, რომელიც დევნის ქმედებიდან უფრო ზოგად - ან, ეგრეთ წოდებულ, „ობიექტურად“ იდენტიფიცირებადი სიტუაციებისკენ იხრება. *OAU 1969 წლის კონვენციის* განსაზღვრება აღიარებს, რომ ადამიანთა იძულება დატოვონ თავიანთი ქვეყანა, შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანაში სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორთან ქმედებებმა, არამედ, ასევე, გარეშე აგრესიის, ოკუპაციის, უცხოური ქვეყნის გაბატონების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვა სერიოზული მოვლენების შედეგად მთავრობის უფლებამოსილების ან კონტროლის დაკარგვამ.¹⁰⁶ *OAU 1969 წლის კონვენციის* განსაზღვრება ფოკუსირებულია სიტუაციებზე, რომლებიც აიძულებს ადამიანებს დატოვონ თავიანთი ქვეყნები უსაფრთხოებისა და თავშესაფრის ძიების მიზნით.

ბ. OAU 1969 წლის კონვენციის განსაზღვრების ელემენტები

49. *OAU 1969 წლის კონვენციის* მუხლი I(2) იცავს პირებს - როგორც ლტოლვილებს, რომლებიც (i) არიან მათი წარმოშობის ქვეყნის გარეთ,¹⁰⁷(ii) იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მათი ჩვეული (ჰაბიტუალური) საცხოვრებელი ადგილი (iii) მათი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყანაში განსაზღვრებაში ჩამოთვლილი ერთი ან მეტი

¹⁰⁰OAU 1969 წლის კონვენცია, note 4 above, Article II(3).

¹⁰¹იქვე, მუხლი IV.

¹⁰²იქვე, მუხლი III.

¹⁰³იქვე, მუხლი II(5), მიუთითებს ბინადრობის უფლებაზე, დროებითი ბინადრობის უფლებაზე და ხელახალი განსახლების უფლებაზე. ნებაყოფლობითი რეპატრირების უფლებას OAU 1969 წლის კონვენციის მუხლი V

¹⁰⁴იქვე, პრეამბულის მეთერთმეტე აბზაცი და VII და VIII მუხლები.

¹⁰⁵დღეისათვის აფრიკის კავშირის 54 წევრი სახელმწიფოდამ მხოლოდ კომოროს, ერიტრეას, ლიბიას, მავრიკიას და სამხრეთ სუდანს არა აქვს არც ხელმოწერილი და არც რატიფიცირებული 1951 წლის კონვენცია ან მისი 1967 წლის ოქმი. მადაგასკარი არის 1951 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, მაგრამ არა მისი 1967 წლის ოქმისა. მადაგასკარი და კონგო კვლავ აღიარებს 1951 წლის კონვენციით დადგენილ გეოგრაფიულ შეზღუდვებს. და ბოლოს, კაბო ვერდე არის 1967 წლის ოქმის მონაწილე, მაგრამ არ არის 1951 წლის კონვენციის მონაწილე.

¹⁰⁶ჯ.ს. ჰესევი, ლტოლვილთა სტატუსის სამართალი, (Butterworths, 1991), 17.

¹⁰⁷ფრაზა „წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყანა“ მიუთითებს პირის მოქალაქეობის ქვეყანაზე, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, 'წარმოშობის ქვეყანა' შეიძლება ასიმილირებული იქნას ყოფილი მუდმივი ბინადრობის ქვეყანასთან, რომელიც 1951 წლის კონვენციის 1ა(2) მუხლშია მითითებული. OAU 1969 წლის კონვენციით სარგებლობისთვის განმცხადებელი უნდა იმყოფებოდეს მისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ.

სიტუაციის არსებობის გამო. OAU 1969 წლის კონვენციის განსაზღვრების ეს ელემენტები ქვემოთ არის განმარტებული და ისინი განხილული უნდა იქნეს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის ერთიანი შეფასების ნაწილად.

პირის იძულება დატოვოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი

50. განსაზღვრებაში სიტყვა „იძულების“ ჩართვით, OAU 1969 წლის კონვენციის მუხლი I(2) ხაზგასმით მიუთითებს სიტუაციის სერიოზულობაზე. ზმნა „იძულება“ აქ ნიშნავს „დაჟინებით მოთხოვნას, შეზღუდვას, დავალდებულებას, ძალით დათანხმებას“.¹⁰⁸ პირის „მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე“ მითითება აღქმული უნდა იქნეს იძულების ელემენტად, რომლის შედეგადაც ადამიანი მიდის და თავშესაფარს ეძებს მისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ, ანუ, სიტუაციამ ზემოქმედება უნდა იქონიოს პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ტერმინს „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“, რაიმე სხვა ან ცალკე სამართლებრივი ეფექტი არ აქვს. ამრიგად, როდესაც მოცემული სიტუაცია საკმარისად სერიოზულია იმისათვის, რომ პირისთვის ობიექტურად გონივრულია დატოვოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და თავშესაფარი სხვა ქვეყანაში ეძიოს, მას დაცვა ესაჭიროება.¹⁰⁹

51. OAU 1969 წლის კონვენციის მუხლი I(2) პერსონალიზებულ ან დისკრიმინაციულ საფრთხეს ან რისკს არ მოითხოვს.¹¹⁰ მოცემული სიტუაციის გამო პირთა გარკვეული ჯგუფები ან მთელი მოსახლეობა შეიძლება იძულებული გახდნენ დატოვონ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ვინაიდან მუხლი I(2) უფრო ყურადღებას ამახვილებს მოცემული სიტუაციის სერიოზულობის შეფასებაზე, ვიდრე გაქცევის მოტივებზე ან ზიანის რისკზე, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეაფასოს - წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნიდან გაქცევა არის თუ არა ობიექტურად გონივრული.

sur place ლტოლვილები

52. OAU 1969 წლის კონვენციის საფუძველზე შესაძლებელია *sur place* ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა, რაც შესაბამისობაშია 1951 წლის კონვენციის განმარტებასთან (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების 31-ე პარაგრაფი).

გაქცევის მაიძულებელი სიტუაციები

53. OAU 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლში ნახსენებ სიტუაციებს უნდა მიენიჭოს მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობა მათი კონტექსტის ფარგლებში და მათი (დაცვაზე

¹⁰⁸ ‘compel, v’, *ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, მეორე გამოცემა*, OED online, 2015, Oxford University Press.

¹⁰⁹ *Radjabu v. The Chairperson of the Standing Committee for Refugee Affairs*, 8830/2010, სამხრეთი აფრიკა: უმაღლესი სასამართლო, 2014 წლის 4 სექტემბერი, პარ. 6, <http://www.refworld.org/docid/540874f94.html>. კრიტერიუმი ‘ობიექტურად გონივრული ქვეყნის დატოვებისთვის’ თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით „იძულების“ ტოლფასია. სასამართლოს თანახმად, იძულება, და არა ძალადობა არის დომინანტური ფაქტორი, როდესაც მისი მეშვეობით განისაზღვრება, პირი აკმაყოფილებს თუ არა ლტოლვილის სტატუსს რეგიონული განსაზღვრების საფუძველზე, რისთვისაც საჭიროა მოხდეს ობიექტურად დადასტურებადი გარემოებების არსებობის შეფასება პირის წარმოშობის ქვეყანაში.

¹¹⁰ OAU 1969 წლის კონვენციის მუხლი I(2) არ უგულებელყოფს ზიანის რისკს, როგორც ეს ჩანს განსაზღვრებაში ფრაზიდან ‘იძულებულია დატოვოს’, და თუ მას წავიკითხავთ არ გამოეცხადება პრინციპთან (*non-refoulement*) კავშირში, რომელიც OAU 1969 წლის კონვენციის II(3) მუხლშია ჩამოყალიბებული, იგი იცავს ადამიანებს დაბრუნებისაგან იმ ტერიტორიებზე, სადაც მათ სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას და თავისუფლებას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. თუმცა ზიანის საფრთხე ან რისკი არ არის აუცილებელი მოთხოვნა რეგიონული განსაზღვრების საფუძველზე დაცვის მინიჭებისთვის.

ორიენტირებული) საგნისა და მიზნის ფონზე.¹¹¹ ისინი, ამავდროულად, სადაც ეს შესაძლებელია, იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ დარჩეს აქტუალური და გამოყენებადი სიტუაციებისთვის, რომლებიც არ იყო ნაგულისხმევი OAU 1969 წლის კონვენციის შექმნის მომენტისთვის.

54. სიტუაცია შეიძლება შეიქმნას „გარე აგრესიის“ შედეგად, ანუ, ერთი სახელმწიფოს მიერ აგრესიის გამოვლენით მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენებით, ამ უკანასკნელის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან, სიტუაცია შეიძლება შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან შეუსაბამო რაიმე სხვა ფორმით.¹¹² ეს სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებსაც აღვივებენ გარეშე ძალები ან რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებზეც გავრცელდა, მათ შორის ის სიტუაციებიც, რომლებიც გამოწვეულია სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების (წევრების) ყოფნით ან უცხოური შეიარაღებული ჯგუფების შეჭრით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

55. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებს ასევე შეიძლება თან მოსდევდეს „ოკუპაცია“ - ან მისი შედეგი იყოს, ანუ, სიტუაცია, რომლის დროსაც მოცემული ტერიტორია ფაქტობრივად არის მტრული უცხოური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მმართველობის ან ეფექტური კონტროლის ქვეშ.¹¹³ ეს ასევე შესაძლოა აქტუალური იყოს სხვა სიტუაციებშიც, რომლებიც „ოკუპაციად“ არ არის კლასიფიცირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, სადაც ქვეყნის შიდა ან გარე შეიარაღებული ჯგუფ(ებ)ი ახორციელებენ კონტროლს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.¹¹⁴ შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებს ასევე შეიძლება თან სდევდეს „უცხოური ქვეყნის გაბატონება“ ან მისი შედეგი იყოს, ანუ, სიტუაცია, რომლის დროსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან კულტურულ კონტროლს ახორციელებს ერთი ან მეტი სახელმწიფო, სახელმწიფოთა გაერთიანება, ან სახელმწიფოს მიერ მართული საერთაშორისო ორგანიზაციები.¹¹⁵

56. ფრაზა - „მოვლენები, რომლებიც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას“ - უნდა განიმარტოს OAU 1969 წლის კონვენციის ჰუმანიტარული საგნისა და მიზნის შესაბამისად, მოიცავს მოვლენები, რომლებიც, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის საფუძველზე, ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი

¹¹¹ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 103 (LVI), 2005, პარ. (c).

¹¹² გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება*, 1945 წლის 24 ოქტომბერი, 1 UNTS XVI, მუხლი 2(4) და თავი VII, („გაეროს წესდება“), <http://www.refworld.org/docid/3ae6b3930.html>. მუხლი 1, გაეროს გენერალური ასამბლეა, აგრესიის განსაზღვრება, 1974 წლის 14 დეკემბერი, A/RES/3314, <http://www.refworld.org/docid/3b00f1c57c.html>, და მუხლი 3, რომელიც მოიცავს ქმედებათა არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც კვალიფიცირებულია აგრესიულ ქმედებებად. იხ. აგრეთვე, რომის სტატუტის მუხლი 8bis, ზემოთ, სქოლიო 32.

¹¹³ ჰააგის კონვენცია (IV) *ხმელეთზე ომის წესებისა და ჩვეულებების პატივისცემის შესახებ და მისი დანართი: ხმელეთზე ომის კანონებთან და ჩვეულებებთან დაკავშირებული რეგულაციები*, 1907 წლის 18 ოქტომბერი, მუხლი 42, <http://www.refworld.org/docid/4374cae64.html>. იხ. აგრეთვე, *Chiragov and Others v. Armenia*, Application no. 13216/05, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015 წლის 16 ივნისი, პარ. 96, <http://www.refworld.org/docid/5582d29d4.html>.

¹¹⁴ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკის კომისია, *აფრიკის კომისიის განცხადება მალიში ადამიანის უფლებათა მიმდინარე სიტუაციის შესახებ*, 2013 წლის 18 იანვარი, <http://www.refworld.org/docid/5108d96a2.html>.

¹¹⁵ ბანჯულის ქარტია, ზემოთ, სქოლიო 97, მუხლი 20(3): ‘ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება დახმარება მიიღოს ამ ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მათ განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოური ბატონობისაგან, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული.’

წესრიგის (*ordre public*) შენარჩუნებაზე, ისეთ ფარგლებში, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას.¹¹⁶ „სერიოზულობის“ ზღვარი მიუთითებს საზოგადოებრივი არეულობის მოვლენებზე, რომლებსაც ძალუმს შეწყვიტოს სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირება და შემოქმედება იქონიოს სახელმწიფოსა და საზოგადოების შიდა და გარე უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ასეთი მოვლენები შეიძლება დაკვალიფიცირდეს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად ან არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტად, რომელიც პირს აიძულებს დატოვოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, თუმცა, ასევე, შეიძლება მოიცავდეს მოვლენებს, რომლებიც არ არის კვალიფიცირებული შეიარაღებულ კონფლიქტად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია ძალადობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ან, სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორებს შორის.¹¹⁷ საფუძველი მოვლენებისთვის, რომლებიც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას, როგორც ჩანს, OAU 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლის უმთავრესი ელემენტია, რომლის საფუძველზედაც დგინდება ლტოლვილის სტატუსი.¹¹⁸

57. საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ერთჯარდმა ქმედებამ ან ინციდენტმა, ან სისტემატური ან ერთობლივი მოქმედებებისა და ინციდენტების წყებამ, რომელზე რეაგირების დროს, სახელმწიფოს ან არ სურს, ან არ შეუძლია დაცვის უზრუნველყოფა. ფრაზის ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, მოვლენები „რომლებიც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას“, შეიძლება ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში მოხდეს. მოვლენები, რომლებიც მთავრობას საგანგებო სიტუაციის გამოცხადებისაკენ უბიძგებს, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი - მაგრამ არა აუცილებელი საფუძველი, თუმცა ყველა სიტუაცია ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.¹¹⁹

58. „მოვლენები, რომლებიც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას“, ასევე მოიცავს საყოველთაო ძალადობის სიტუაციებს, ანუ, ძალადობას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული, შემოქმედებას ახდენს პირთა ვრცელ ჯგუფებზე ან მთელ მოსახლეობაზე, ან მოვლენებს, რომლებიც ხასიათდება ხელისუფლების კონტროლის დაკარგვითა და მისი უუნარობით ან სურვილის არქონით დაიცვას მისი მოსახლეობა იმ სიტუაციათა ჩათვლით, რომლებიც ხასიათდება არასახელმწიფო აქტორთა მხრიდან რეპრესიული ან იძულებითი სოციალური კონტროლით, რასაც ხშირად თან სდევს დაშინება, დევნა და ძალადობა.

59. საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევის გამომწვევი ფაქტობრივი ინდიკატორებია: გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა; ადამიანის უფლებათა

¹¹⁶UNHCR, პირები, რომლებზეც ვრცელდება OAU კონვენცია, აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული რეგულირების შესახებ და კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ (*წარადგინა აფრიკის ჯგუფმა და ლათინური ამერიკის ჯგუფმა*), 1992 წლის 6 აპრილი, EC/1992/SCP/CRP.6, <http://www.refworld.org/docid/3ae68cd214.html>.

¹¹⁷იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-5 პარაგრაფი. იხ., ქენევის ოქმი II, ზემოთ, სქოლიო 14.

¹¹⁸მ. შარპე, '1969 OAU კონვენცია ლტოლვილის ინდივიდუალური სტატუსის განსაზღვრის კონტექსტში', საქმეში V Türk, A Edwards and C Wouters (eds.), *კონფლიქტისა და ძალადობისაგან გაქცევა. UNHCR-ის კონსულტაციები ლტოლვილის სტატუსის და საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმების შესახებ* (Cambridge University Press and UNHCR, forthcoming 2017), 133.

¹¹⁹ICCPR, ზემოთ, სქოლიო 34, მუხლი 4. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 29, ზემოთ, სქოლიო 43.

ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, სამხედრო დანაშაულთა ჩათვლით;¹²⁰ ტერორისტული აქტები; დახოცილი, დასახიჩრებული და გადაადგილებული ადამიანების საგულიხმო რაოდენობა; სკოლების დახურვა; სურსათის, სამედიცინო მომსახურებისა და მიწოდების და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებათა ნაკლებობა, როგორცაა, წყალი, ელექტროენერჯია და სანიტარული მომსახურება; სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამსახურების, პოლიტიკური სისტემების ან პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის ცვლილებები ან სრული განადგურება; პარალელური ან არაფორმალური მართლმსაჯულების და ადმინისტრაციული სისტემების შემოღება; და/ან არასახელმწიფო აქტორთა მიერ სახელმწიფო ტერიტორიის კონტროლირება.

გ. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა

60. OAU 1969 წლის კონვენციის I(2) მუხლის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისთვის შიდა გადაადგილების განხილვა ზოგადად აქტუალური არ არის.¹²¹ მუხლი I(2) მოიცავს ორივე სიტუაციას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ტერიტორიის “ნაწილზე” ან “მთელ” ტერიტორიაზე.¹²² ვინაიდან მუხლი I(2) ფოკუსირებულია სიტუაციებზე, რომლებიც იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების სერიოზულ შეფერხებას, ადამიანებს არ შეიძლება მოსთხოვონ ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლება, მაშინაც კი, თუ ქვეყნის ამ ნაწილში სიტუაცია ნაკლებად არის დარღვეული. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც სიტუაცია უდავოდ არის ლოკალიზებული ქვეყნის კონკრეტულ ნაწილში ან კონკრეტულ რეგიონსა თუ ქალაქში, და სადაც სახელმწიფოს შეუძლია და სურვილი აქვს დაიცვას მისი მოქალაქეები ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე. დეტალურად უნდა შეფასდეს სიტუაციისა და მისი თანმდევი ძალადობისა და არეულობის გავრცელება სხვა ტერიტორიებზე, მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივით.

IV. კართაგენის 1984 წლის დეკლარაციის III(3) დასკვნის არსებითი ანალიზი

ა. წინასწარი მიმოხილვა განმარტების წარმართვისთვის

61. ლტოლვილთა შესახებ კართაგენის დეკლარაცია დაცვის რეგიონული დოკუმენტია, რომელიც 1984 წელს მიიღო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფმა.¹²³ იგი შეიქმნა ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კოლოქვიუმის ფარგლებში, რომელიც კოლუმბიის ქალაქ *კართაგენა დე ინდიასში* ჩატარდა. მისი მიღება იყო ჰუმანიტარული და პრაგმატული პასუხი ადამიანთა კონფლიქტისა და სხვა სიტუაციებიდან გადაადგილებაზე, რისთვისაც დამახასიათებელია სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების მიმართ განურჩეველი საფრთხე. კართაგენის დეკლარაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს თავშესაფრის მშვიდობიან, არაპოლიტიკურ და მხოლოდ ჰუმანიტარულ ბუნებას და გამეფების დაუშვებლობის (*non-refoulement*) პრინციპებს; გრძელვადიანი გადაწყვეტის აქტიური ძიების მნიშვნელობას; და

¹²⁰რომის სტატუტი ICC, ზემოთ, სქოლიო 32, მუხლი 8.

¹²¹UNHCR, IFA სახელმძღვანელო პრინციპები, ზემოთ, სქოლიო 83, პარ, 5.

¹²²*Recueil des décisions (No 2 - 2008)*, Benin: Comité d'éligibilité au statut de réfugié, 2008, გვ. 97, <http://www.refworld.org/docid/563cede14.html>. იხ. აგრეთვე, ა. ედვარდი, 'ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა აფრიკაში' (2006) 14 *Afr J Intl Comp L* 227.

¹²³ბელიზე, კოლომბია, კოსტა რიკა. ელ-სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა და ვენესუელა.

საყოველთაო და რეგიონული სისტემებისა და სახელმწიფოთა ძალისხმევის კოორდინირებისა და ჰარმონიზების აუცილებლობას.¹²⁴

62. კართაგენის დეკლარაციის III(3) დასკვნა რეკომენდაციას იძლევა, ლტოლვილებად მიიჩნიონ პირები: „პირები, რომლებმაც თავიანთი ქვეყანა დატოვეს იმის გამო, რომ მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას ემუქრებოდა საყოველთაო ძალადობა, უცხო ქვეყნის აგრესია, შიდა კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევები ან სხვა გარემოებები, რომლებსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ წესრიგს“.¹²⁵

63. კართაგენის დეკლარაციაში მოცემულმა ლტოლვილის განსაზღვრებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა რეგიონში, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩართულია ეროვნულ კანონებში და დანერგილია მათ პრაქტიკაში.¹²⁶ კართაგენის დეკლარაციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების ძალა დადასტურებული იქნა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს (IACrHR)¹²⁷ მიერ, ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა სან-ხოსეს დეკლარაციით (1994),¹²⁸ ლათინურ ამერიკაში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის განმტკიცების შესახებ მექსიკის დეკლარაციითა და მისი სამოქმედო გეგმით (2004),¹²⁹ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ ბრაზილიის დეკლარაციით (2011)¹³⁰ და ქალაქ ბრაზილიაში მიღებული დეკლარაციითა და სამოქმედო გეგმით (2014).¹³¹

64. კართაგენის დეკლარაციას, როგორც დამცავ დოკუმენტს, საფუძვლად უდევს ვალდებულება - ყველა ლტოლვილის მიმართ უზრუნველყოს 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული მოპყრობა.¹³² მისი სულისკვეთება OAU 1969 წლის კონვენციიდან

¹²⁴იხ. შესაბამისად, დასკვნა III(4) თავშესაფრის უფლების შესახებ; დასკვნა III(5) გამეფების დაუშვებლობის პრინციპის შესახებ (*non-refoulement*); დასკვნა III(11) ინტეგრაციის შესახებ, დასკვნა III(12) ნებაყოფლობითი რეპატრაციის შესახებ, და დასკვნები III(14) - (17) თანამშრომლობის, კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის შესახებ.

¹²⁵ორიგინალ ტექსტში, ესპანურ ენაზე, კართაგენის დეკლარაციის დასკვნაში III(3) გამოყენებულია ტერმინი '*seguridad*', რაც ინგლისურში სათანადოდ არის თარგმნილი როგორც 'უსაფრთხოება', და არა 'დაცულობა', სიტყვა - რომელიც კართაგენის დეკლარაციაში არის გამოყენებული, ზემოთ, სქოლიო 5.

¹²⁶დღეისათვის კართაგენის ლტოლვილის დეფინიცია ჩართულია 14 ქვეყნის ეროვნულ კანონებში: არგენტინის, ბელიზის, ბოლივიის, ბრაზილიის, ჩილეს, კოლუმბიის, ელ-სალვადორის, გვატემალის, ჰონდურასის, მექსიკის, ნიკარაგუას, პარაგვაის, პერუს და ურუგვაის. გარდა ამისა, 2014 წლის სექტემბერში ეკვადორის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონული განსაზღვრება აღედგინა ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში: *Sentencia No 002-14-SIN-CC*, Ecuador: Corte Constitucional, 2014 წლის 14 აგვისტო, <http://www.refworld.org/docid/578f56084.html>.

¹²⁷საკონსულტაციო დასკვნა OC-21/14 2014 წლის 19 აგვისტო, მოითხოვა არგენტინის რესპუბლიკამ, ბრაზილიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, პარაგვაის რესპუბლიკამ და ურუგვაის რესპუბლიკამ: ბავშვთა უფლებები და გარანტიები მიგრაციის და/ან საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, OC-21/14, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო (IACrHR), 2014 წლის 19 აგვისტო, პარ. 76, 77, 79 და 249, <http://www.refworld.org/docid/54206c744.html>.

¹²⁸სან ხოსეს დეკლარაცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, 1994 წლის 7 დეკემბერი, <http://www.refworld.org/docid/4a54bc3fd.html>.

¹²⁹მექსიკის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა ლტოლვილთა დაცვის განმტკიცების შესახებ ლათინურ ამერიკაში, 2004 წლის 16 ნოემბერი, <http://www.refworld.org/docid/424bf6914.html>.

¹³⁰ბრაზილიის დეკლარაცია ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში, 2010 წლის 11 ნოემბერი, <http://www.refworld.org/docid/4cdd44582.html>.

¹³¹ბრაზილიის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა, 2014 წლის 3 დეკემბერი, <http://www.refworld.org/docid/5487065b4.html>.

¹³²კართაგენის დეკლარაცია, ზემოთ, სქოლიო 5, დასკვნა III(8). იხ. აგრეთვე 1951 წლის გაეროს სრულუფლებიანი ელჩების კონფერენციის საბოლოო აქტის რეკომენდაცია E - ლტოლვილთა და

მომდინარეობს, ასევე, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის (IACHR) დოქტრინიდან.¹³³ მისი განმარტება ეფუძნება საერთაშორისო და რეგიონულ სამართალს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ 1948 წლის ამერიკული დეკლარაციის,¹³⁴ ამერიკის ადამიანის უფლებათა 1969 წლის კონვენციის,¹³⁵ და ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა ორგანოების პრეცედენტული სამართლის ნორმებსა და სტანდარტებს.

65. გარდა ამისა, კართაგენის დეკლარაცია, როგორც ჰუმანიტარული ხასიათისა და დაცვაზე ორიენტირებული დოკუმენტი, ლტოლვილის დეფინიციის ევოლუციური და მოქნილი განმარტებისკენ მოუწოდებს.¹³⁶ როდესაც ჩვეულებრივი მნიშვნელობა ნათელი არ არის, ტექსტის განმარტება უნდა მოხდეს მიზნობრივი ან თელეოლოგიური სახით.

კართაგენის დეკლარაციის ლტოლვილის განსაზღვრების ფარგლები

66. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება საერთაშორისო დაცვას სთავაზობს ადამიანებს, რომლებიც გაურბიან საფრთხეს „ობიექტურად“ იდენტიფიცირებადი გარემოებებიდან, რომელმაც სერიოზულად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში მითითებული გარემოებები ხასიათდება განურჩეველი, არაპროგნოზირებადი ან კოლექტიური ხასიათის საფრთხეებით, რომელიც ემუქრება პირის ან პირთა ჯგუფის, ან თვით მთელი მოსახლეობის სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება ფოკუსირებულია საფრთხის წინაშე მყოფ ადამიანებზე, რაც მითითებული გარემოებების დროს არის დამახასიათებელია.

67. ვინაიდან კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება განურჩეველი ხასიათის საფრთხეებზე არის ფოკუსირებული, გადაწყვეტილების მიმღებთათვის რეკომენდირებულია შეიმუშაონ თანმიმდევრული მიდგომა ერთსა და იმავე ქვეყანაში მსგავსი გარემოებებიდან გაქცეული ადამიანებისთვის. ეს ხელს უწყობს რეგიონში დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრას, და შემთხვევებს შორის უფრო თანმიმდევრული შედეგების უზრუნველყოფას.

ბ. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები

68. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება, ლტოლვილის სახით იცავს პირებს, რომლებიც (i) არიან თავიანთი ქვეყნის გარეთ,¹³⁷ (ii) რადგან მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას საფრთხე ემუქრება (iii) მათ ქვეყანაში განსაზღვრებაში ჩამოთვლილი გარემოებების გამო. კართაგენის ლტოლვილის

მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, გაეროს სრულუფლებიანი ელჩების კონფერენცია ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, 1951 წლის 25 ივლისი, A/CONF.2/108/Rev.1, <http://www.refworld.org/docid/40a8a7394.html>.

¹³³ იხ. კართაგენის დეკლარაციის ტექსტი, ზემოთ, სქოლიო 5, დასკვნა III(3).

¹³⁴ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია (IACHR), *ამერიკული დეკლარაცია ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, 1948 წლის 2 მაისი*, <http://www.refworld.org/docid/3ae6b3710.html>.

¹³⁵ კართაგენის დეკლარაცია, ზემოთ, სქოლიო 5, დასკვნა III(8) და (10) მკაფიო მითითებას აკეთებს ამერიკის ადამიანის უფლებათა 1969 წლის კონვენციაზე, ზემოთ, სქოლიო 43.

¹³⁶ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 103 (LVI), 2005, პარ. (c).

¹³⁷ კართაგენის დეკლარაციის განსაზღვრების მიზნებისთვის, მითითება 'მათი ქვეყანა' - ფრაზაში 'პირები, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა', უნდა განიმარტოს 1951 წლის კონვენციის შესაბამისად, როგორც პირის მოქალაქეობის ქვეყანა, ან, მოქალაქეობის არქონის შემთხვევაში, ყოფილი მუდმივი ბინადრობის ქვეყანა.

განსაზღვრების ეს კონკრეტული ელემენტები ქვემოთ არის აღწერილი. ეს ელემენტები ერთიანი შეფასების ნაწილად უნდა იქნეს განხილული.

Sur place ლტოლვილები

69. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების საფუძველზე შესაძლებელია *sur place* ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა, რაც შესაბამისობაშია 1951 წლის კონვენციის განმარტებასთან (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების 31-ე პარაგრაფი).

გაქცევის მაიძულებელი გარემოებები

70. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში მითითებული ეს გარემოებები მოიცავს-მაგრამ, ამით არ შემოიფარგლება საყოველთაო ძალადობას, უცხო ქვეყნის აგრესიას, შიდა კონფლიქტებს, და ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს. გარდა ამისა, სხვა გარემოებათა გამო, რომლებიც ქვეყანაში სერიოზულად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, შეიძლება საფრთხე შეექმნას პირთა სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას და აიძულოს ისინი დატოვონ თავიანთი ქვეყანა. ვინაიდან კართაგენის დეკლარაცია დაცვის მიზნით არის შექმნილი, კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში მითითებულ გარემოებებს მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობა უნდა მიეცეს (სადაც შესაძლებელია), და ევოლუციურად უნდა განიმარტოს, რათა ისინი დარჩეს აქტუალური სიტუაციებისთვის, რომლებიც არ იყო ნაგულისხმევი კართაგენის დეკლარაციის შემუშავების მომენტისთვის.

71. “საყოველთაო ძალადობა”¹³⁸ მეცნიერული ტერმინი არ არის, და მას არც მკაცრი ან ჩაკეტილი მნიშვნელობა არა აქვს. ინდივიდუალური საქმეების მიხედვით შემუშავებული მიდგომის საფუძველზე, ტერმინმა მოიცვა სიტუაციები, რომლებიც დაკავშირებულია ძალადობასთან, რომელიც განურჩევლად და/ან საკმარისად ფართოდ არის გავრცელებული, იმგვარად, რომ შეუძლია ზემოქმედება იქონიოს პირთა ფართო ჯგუფებზე ან მთელ მოსახლეობაზე. როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე უნდა დადგინდეს, არის თუ არა გაბატონებული საყოველთაო ძალადობის სიტუაცია, საჭიროა მოხდეს ფაქტობრივი ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობის ქვეყანაში ინციდენტების რაოდენობასთან და სახეებთან, ასევე, ძალადობის საერთო დონესთან და სამოქალაქო მოსახლეობაზე მის ზემოქმედებასთან.¹³⁸ საყოველთაო ძალადობის სიტუაციები მოიცავს ადამიანის

¹³⁸ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საყოველთაო და განურჩეველი ძალადობის სიტუაცია არსებობდა ელ-სალვადორში, 1980-იანი წლების დასაწყისში. მან მითითება გააკეთა სისტემურ ძალადობაზე, რომელიც განურჩეველ ზემოქმედებას ახდენდა ადამიანთა დიდ რაოდენობაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იხ. *The Massacres of El Mozote and nearby places v. El Salvador*, Inter-American Court of Human Rights ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო (IACrHR), 2012 წლის 25 ოქტომბერი, პარ. 70 და 193, <http://www.refworld.org/docid/564ecfee4.html>. „ფართოდ გავრცელებული ძალადობის“ განმარტებისას, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა კომისიამ (IACHR) მითითება გააკეთა მსგავს ინდიკატორებზე. იგი მოიცავს შემდეგს: ა) ძალადობრივი ინციდენტების რაოდენობა, ასევე, ინციდენტების მსხვერპლთა რაოდენობა არის ძალიან დიდი; ბ) ძირითადი ძალადობის სახეები იწვევს მოსახლეობის ტანჯვას; გ) თვით ძალადობა მიუთითებს უკიდურესად სასტიკ ფორმებზე, როგორცაა, ხოცვა-ჟლეტა, წამება, დასახიჩრება, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა, სასამართლო განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯა, მოტაცება, პირის გაუჩინარება და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევები; დ) ძალადობის აქტების მიზანი ხშირად არის ტერორის დანერგვა და, დროთა განმავლობაში, ისეთი სიტუაციის შექმნა, როდესაც ინდივიდუალურ პირს გაქცევის მეტი სხვა გზა არ დარჩენია; ე) ძალადობა შეიძლება მომდინარეობდეს სახელმწიფო და არასახელმწიფო აგენტებისაგან, და როდესაც იგი მომდინარეობს პირველისაგან, ან სხვებისაგან - რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოების წაქეზებით ან მათი თანხმობით, ავტორები დაუსჯელნი

უფლებათა ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მასობრივი და/ან სერიოზული დარღვევების სიტუაციებს. საყოველთაო ძალადობის დადგენა ხდება ძალადობის ინტენსიურობის ან გეოგრაფიული გავრცელების, ან მათი კომბინაციის საფუძველზე.

72. ვინაიდან ტერმინი „საყოველთაო ძალადობა“ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არ არის, იგი არ უნდა შემოიფარგლოს შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, თუმცა მან ეს სიტუაციებიც შეიძლება მოიცვას, თუკი დაკმაყოფილებული იქნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების პირობები. იხ. აგრეთვე ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-5 პარაგრაფი, რომელიც ეხება პირის ლტოლვილად განსაზღვრისას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე სიტუაციის შეიარაღებულ კონფლიქტად დაკვალიფიცირების შეზღუდულ რეგულაციებს.

73. საყოველთაო ძალადობის სიტუაციები მოიცავს სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებულ ძალადობას. ეს არის ადგილზე შექმნილი სიტუაცია, ხოლო ძალადობის არსებობის რისკი აქ მთავარი საკითხია.

74. „უცხო ქვეყნის აგრესია“ ტოლფასია ტერმინებისა „აგრესია“, „აგრესიული ომი“ და „აგრესიული აქტი“, როგორც ეს საერთაშორისო სამართალში არის განსაზღვრული, ასევე ტერმინი „გარე აგრესია“, რომელიც გამოყენებულია OAU 1969 წლის კონვენციაში (ამ სახელმძღვანელო პრინციპების 54-ე პარაგრაფი).¹³⁹ კართაგენის დეკლარაციის საგნისა და მიზნის შესაბამისად, უცხო აგრესია შეიძლება გაუტოლდეს დანაშაულს, რომელიც იწვევს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით.¹⁴⁰ ეს სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებსაც აღვივებენ გარეშე ძალები ან რომლებიც მეზობელი სახელმწიფოებიდან გავრცელდა, მათ შორის, ის სიტუაციებიც, რომლებიც გამოწვეულია სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების (წევრების) ყოფნით ან უცხოური შეიარაღებული ჯგუფების შეჭრით.

75. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში „შიდა კონფლიქტი“ მოიცავს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით.¹⁴¹ თუმცა კართაგენის დეკლარაციის დაცვითი მიზნის

რჩებიან; ვ) როდესაც ძალადობა მომდინარეობს არასახელმწიფო აგენტებისაგან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ ეფექტურად აკონტროლონ ისინი; და ზ) ძალადობის დონე და ფარგლები იმგვარია, რომ სერიოზულად არის დარღვეული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება. იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია (IACHR), *მობსენება ადამიანის უფლებათა სიტუაციის შესახებ იამაიკაში*, 2012 წლის 10 აგვისტო, OEA/Ser.L/V/II.144, გვ. 5 და 27, <http://www.refworld.org/docid/51ff65004.html>.

¹³⁹ იხ. სქოლიო 112 და საქმე, რომელიც ეხება სამხედრო და პარამილიტარულ საქმიანობას ნიკარაგუასი და მის წინააღმდეგ (*Nicaragua v. United States of America*); *Merits*, საერთაშორისო სასამართლო (ICJ), 1986 წლის 27 ივნისი <http://www.refworld.org/docid/4023a44d2.html>

¹⁴⁰ იხ. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მუხლი 2(1), ზემოთ, სქოლიო 13, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს და მიუთითებს „გამოცხადებული ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევებზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან მეტ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის“, და იხ. აგრეთვე ჟენევის კონვენციების I ოქმის მუხლი 1(4), ზემოთ, სქოლიო 13, სადაც დამატებითი მითითება კეთდება „შეიარაღებულ კონფლიქტზე, სადაც ადამიანები იბრძვიან კოლონიური ბატონობის, უცხოელი ოკუპანტების და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ მათი თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისას“.

¹⁴¹ იხ. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მუხლი 3, ზემოთ, სქოლიო 38, ჟენევის კონვენციის II ოქმის მუხლი 1, ზემოთ, სქოლიო 14, და *Prosecutor v. Dusko Tadic aka "Dule" (Decision on the Defence Motion for*

გათვალისწინებით, ტერმინი „შიდა კონფლიქტი“ ვრცელდება შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებზე, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის ინფორმაციული ხასიათის, მამასადამე, იგი არ არის განმსაზღვრელი შიდა კონფლიქტის არსებობის დასადგენად. ანალოგიურად, კონფლიქტში ჩართული ან მისგან დაზარალებული მხარეების მიერ მინიჭებული კვალიფიკაცია ასევე არის უფრო ინფორმაციული, ვიდრე განმსაზღვრელი (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-5 პარაგრაფი).¹⁴² კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების მიზნისთვის, სიტუაციები, რომლებიც ვერ აღწევს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტის ზღვარს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში, შეიძლება უკეთ განისაზღვროს „საყოველთაო ძალადობის“ ან „ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევის“ საფუძველზე.

76. იმის დასადგენად, დომინირებს თუ არა „ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევა“, განსაკუთრებით აქტუალური იქნება ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს (IACrtHR) იურისპრუდენციის მოხმობა. ტერმინი „მასიური“ მიუთითებს ძალადობის ხარისხზე ან მასშტაბზე, ხანგრძლივობის მიუხედავად და, როგორც ასეთი, ძალადობა შეიძლება იყოს ერთი მოვლენის შედეგი.¹⁴³ როდესაც ადამიანის უფლებათა დარღვევები ცდება ფაქტობრივ/პირდაპირ მსხვერპლს და ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ფართო სეგმენტზე, ან სულაც მთელ საზოგადოებაზე, მაშინ სიტუაცია აგრეთვე შეიძლება დაკვალიფიცირდეს „ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევად“. მოძალადეთა მიერ დაგეგმვისა და ორგანიზების ელემენტები - იქნება ეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორი - შეიძლება აგრეთვე მიუთითებდეს „ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევაზე“, თუმცა ამის მოთხოვნა არ არსებობს. როდესაც ადამიანის უფლებათა ხელყოფა ხდება არასახელმწიფო აქტორების მიერ, „ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევის“ სიტუაცია შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს დაიცვას მისი მოქალაქეები ძალადობათა თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სანქციების მეშვეობით.¹⁴⁴ ამ კონტექსტში გადაადგილება შეიძლება იყოს „ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევის“ ინდიკატორი ან გამოწვივის ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება არ განასხვავებს უფლებათა ტიპებს, რომელთა მიმართაც დარღვევის საფრთხე არსებობს.

Interlocutory Appeal on Jurisdiction), IT-94-1, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY), 1995 წლის 2 ოქტომბერი, პარ. 70, <http://www.refworld.org/docid/47fdfb520.html>

¹⁴²მაგალითად, კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებისთვის საკმარისი იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის განსაზღვრა არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, თუმცა ასეთი მოთხოვნა აქ არ არის. იხ. აგრეთვე, UNHCR-ის არუმას შემაჯამებელი დასკვნა, ზემოთ, სქოლიო 29, პარ. 24.

¹⁴³საქმე *“Las Dos Erres” Massacre v. Guatemala*, Inter-American Court of Human Rights (IACrtHR), 2009 წლის 24 ნოემბერი, პარ. 73, 79 and 152, <http://www.refworld.org/docid/564ed31a4.html>; *Río Negro Massacres v. Guatemala*, Inter-American Court of Human Rights (IACrtHR), 2012 წლის 4 სექტემბერი, პარ. paras. 56, 58-60 and 63, <http://www.refworld.org/docid/564ed2714.html>.

¹⁴⁴*González et al. (“Cotton Field”) v. Mexico*, Inter-American Court of Human Rights (IACrtHR), 2009 წლის 16 ნოემბერი, პარ. 236, <http://www.refworld.org/docid/564ed5234.html>

77. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებები ან დროებითი ღონისძიებები¹⁴⁵ ან ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის¹⁴⁶ გამაფრთხილებელი ზომები, რომლებიც მოცემულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული, ძლიერი მტკიცებულება იქნება ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევის სიტუაციის არსებობის დასადასტურებლად. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოების ან სასამართლოების განცხადებები ასევე შეიძლება იყოს აქტუალური ინდიკატორები. თუმცა ასეთი გადაწყვეტილებები ან ზომები არ მოითხოვება იმისთვის, რომ სიტუაცია „ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევად“ დაკვალიფიცირდეს. ეს არის ფაქტობრივი შეფასება, რომელიც უნდა გააკეთოს თავშესაფრის მიცემაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, შესაბამის ინფორმაციასა და მტკიცებულებაზე დაყრდნობით, განმცხადებლის ჩვენებების ჩათვლით.

78. ეროვნული ორგანოები, კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის განხილვისას, კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში ჩამოთვლილ გარემოებათაგან ყველაზე ნაკლებად იყენებენ „სხვა გარემოებებს, რომელიც სერიოზულად აფერხებს საზოგადოებრივ წესრიგს.“¹⁴⁷ ცნებას „საზოგადოებრივი წესრიგი“, საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არა აქვს, მაგრამ მისი განმარტება შეიძლება კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრების კონტექსტში, როგორც მშვიდობის და შიგა და გარე უსაფრთხოების მდგომარეობა, ასევე, სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილურობა და სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირება, რომელიც დაფუძნებულია კანონის უზენაესობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე. საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული შემაფერხებელი გარემოებები შეიძლება შეიქმნას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, ასევე, მშვიდობიან დროს. იხ. აგრეთვე ამ სახელმძღვანელო პრინციპების 56-59 პარაგრაფები.

79. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს იურისპრუდენციაში, საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული შემაფერხებელი გარემოებები განისაზღვრა, ნაწილობრივ, სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებათა ვალდებულებებიდან გადახვევის აქტებზე, იმ საქმეებზე, სადაც გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა.¹⁴⁸ თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არ უნდა იქნეს

¹⁴⁵ შუალედური ღონისძიებები არის ინსტრუმენტი, რომელსაც IACrtHR-ი იყენებს ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად, იმ პირთა მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე და გადაუდებელ სიტუაციებში იმყოფებიან. ღონისძიებების შესახებ განკარგულების გაცემა ხდება *ex officio*, ან მხარის მოთხოვნით, რის შედეგადაც ფორმდება დაცვის მოთხოვნა რესპონდენტი სახელმწიფოსაგან სავარაუდო მსხვერპლის დაცვის შესახებ. იხ. ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, ზემოთ, სქოლიო 43, მუხლი 62(2) და ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ორგანიზაცია (OAS), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს პროცედურული წესები (დებულება), 2009 წლის 16-29 ნოემბერი, მუხლი 27.

<https://www.cidh.oas.org/Basicos/English/Basic20.Rules%20of%20Procedure%20of%20the%20Court.html>

¹⁴⁶ ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ორგანიზაცია (OAS), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის პროცედურული წესები (დებულება), 2013 წლის 1 აგვისტო, <http://www.oas.org/en/iachr/mandate/Basics/rulesiachr.asp>, მუხლი 25 ადგენს, რომ სერიოზული და გადაუდებელი სიტუაციების დროს, კომისიას შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მოითხოვოს, რომ სახელმწიფომ მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები პირთა მიმართ გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

¹⁴⁷ UNHCR, *შემაჯამებელი დასკვნები კართაგენის 1984 წლის დეკლარაციის ლტოლვილის განსაზღვრების ფართო განმარტების შესახებ; მრგვალი მაგიდის შეხვედრა, 2013 წლის 15 და 16 ოქტომბერი, მონტევიდეო, ურუგვაი, 2014 წლის 7 ივლისი, გვ. 7, <http://www.refworld.org/docid/53c52e7d4.html>*

¹⁴⁸ ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, ზემოთ, სქოლიო 43, მუხლი 27(1),

სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს მიიღონ გაატარონ გადახვევის ზომები ომის, საზოგადოებრივი

მიჩნეული საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული შემაფერხებელი გარემოების არსებობის წინაპირობად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ იგი ასეთი სიტუაციის მიმანიშნებელია.

80. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში ზედასართავი სახელი „სხვა“ – ფრაზაში „სხვა გარემოებები“ – სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს დაცვა მიანიჭონ ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში მოცემულ ოთხ სიტუაციათა შორის მითითებული არ არის.

სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების წინაშე მდგარი საფრთხე

81. კართაგენის განსაზღვრების მესამე ელემენტი არის კავშირი წარმოშობის ქვეყანაში არსებულ გარემოებასა და საფრთხეს შორის, რომელსაც იგი უქმნის ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას. განსაზღვრებაში „საფრთხის“ ან რისკის ელემენტი გულისმობს ზიანს, რომელიც შეიძლება მიადგეს პირს, პირთა ჯგუფს ან მთელ მოსახლეობას; იგი არ მოითხოვს, რომ ზიანის რეალური მატერიალიზაცია მოხდეს. გარემოებასა და საფრთხეს შორის კავშირი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ არასასურველად შეკვეცოს ან შეზღუდოს თავისი ქვეყნიდან გამოქცეული პირისთვის მინიჭებული საერთაშორისო დაცვის ფარგლები, მაგალითად, სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების წინაშე მდგარი საფრთხის ინდივიდუალიზებული შეფასების მოთხოვნით. ფაქტიურად, პიროვნებასთან გარემოების სივრცული/გეოგრაფიული სიახლოვე შეიძლება საკმარისი იქნეს საფრთხის შესაქმნელად, რომელიც პირს აიძულებს დატოვოს თავისი ქვეყანა.

82. ვინაიდან კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება ორიენტირებულია გარემოებებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ჯგუფებზე ან მთელ მოსახლეობაზე, ფოკუსი არ კეთდება ინდივიდის პირად გარემოებებზე, რომელიც მისი სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების წინაშე მდგარი რისკის გამო გარბის, არამედ იგი ორიენტირებულია წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ობიექტურ გარემოებებზე.

83. პირის „სიცოცხლეზე, უსაფრთხოებაზე ან თავისუფლებაზე მითითება ფართოდ უნდა განიმარტოს, რომელმაც უნდა მოიცვას პირის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა, უსაფრთხოება, თავისუფლება, ადამიანის ღირსება და საარსებო საშუალებები“, საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებებზე მითითებით.

ბანდების ან ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფების მიერ განხორციელებული ძალადობა

84. ადამიანებმა, რომლებიც გაურბიან ბანდების ან ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფების მიერ განხორციელებულ ძალადობას, შეიძლება დააკმაყოფილონ ლტოლვილის კრიტერიუმები 1951 წლის კონვენციის საფუძველზე.¹⁴⁹ ადამიანები,

არეულების და სხვა გადაუდებელი სიტუაციების დროს, რომლებიც საფრთხეს უქმნის მონაწილე სახელმწიფო დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას. იხ., *Habeas Corpus in Emergency Situations* (მუხ. 27(2), 25(1) და 7(6) ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია), OC-8/87, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, 1987 წლის 30 იანვარი, პარ. 19 და 20, <http://www.refworld.org/docid/402795714.html>

¹⁴⁹ ასეთ სიტუაციებში 1951 წლის კონვენციის გამოყენება იხ.: UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები ბანდების შესახებ, ზემოთ, სქოლიო 12.

რომლებიც ამგვარ ძალადობას გაუბიან, შეიძლება ასევე მოხვდნენ კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრებაში მითითებული ერთი ან მეტი გარემოების ფარგლებში.

გ. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა

85. კართაგენის ლტოლვილის განსაზღვრება ეხება სიტუაციებს, რომლებიც სერიოზულად აფერხებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობას. ასეთ გარემოებებში, ადამიანებს არ მოეთხოვებათ გადასახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში, თუნდაც იქ სიტუაცია ნაკლებად საფრთხის შემცველი იყოს. ერთადერთი გამონაკლისი იქნება სიტუაცია, რომელიც ლოკალიზებულია ქვეყნის კონკრეტულ ნაწილში, კონკრეტულ რეგიონში ან ქალაქში, და სადაც სახელმწიფოს შეუძლია და სურს დაიცვას მისი მოქალაქეები ამ ტერიტორიებზე. დეტალურად უნდა შეფასდეს სიტუაციისა და მისი თანმდევი ძალადობისა და არეულობის გავრცელება სხვა ტერიტორიებზე, მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივით.

V. პროცედურული და მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საკითხები

ა. 1951 წლის კონვენციის/1967 წლის ოქმისა და რეგიონული განსაზღვრებების გამოყენების მეთოდები

86. ლტოლვილის სხვადასხვა განსაზღვრება ურთიერთგამომრიცხავი არ არის. თითოეული მათგანი პირს ლტოლვილად აღიარებს, რითაც აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული მოპყრობის სტანდარტებს (იხ. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მე-8 პარაგრაფი).

87. ლტოლვილის განსაზღვრების გამოყენებისას, უმჯობესია გამოყენებული იქნეს თანმიმდევრული მიდგომა, რომლის მეშვეობითაც ლტოლვილის სტატუსის შეფასება თავდაპირველად ხდება 1951 წლის კონვენციის განსაზღვრების საფუძველზე, ვიდრე შეფასება მოხდებოდეს რეგიონული განსაზღვრების გამოყენებით - თუკი პირს ლტოლვილად არ მიჩნევენ 1951 წლის კონვენციის საფუძველზე. ასეთი მიდგომა ხაზგასმით მიუთითებს 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით დადგენილი ლტოლვილის განსაზღვრების საყოველთაო ხასიათზე და ამ კონვენციის უპირატესობაზე,¹⁵⁰ და რეგიონული განსაზღვრებების აშკარად დამატებით ბუნებაზე¹⁵¹.

88. თუმცა რეგიონული განსაზღვრებების გამოყენება უფრო პრაქტიკული და ეფექტური იქნებოდა ჯგუფური სიტუაციებისთვის ან კონკრეტული რეგიონული კონტექსტებისთვის,¹⁵² 1951 წლის კონვენციის სტანდარტების გამოყენების ფარგლებში.

ა. ფაქტების დადგენა

89. შეიარაღებულ კონფლიქტთან და ძალადობის სიტუაციებთან დაკავშირებულმა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნამ, შეიძლება რთული ფაქტობრივი საკითხები

¹⁵⁰ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 87 (L) 1999, პარ.(f); EXCOM დასკვნა No. 89 (LI) 2000. იხ. აგრეთვე, 1969 OAU კონვენცია, ზემოთ, სქოლიო 4, პრეამბულის მეცხრე აბზაცი, რომელიც მიუთითებს 1951 წლის კონვენციაზე/1967 წლის ოქმზე, როგორც ლტოლვილთა დაცვის ძირითად საყოველთაო დოკუმენტზე.

¹⁵¹ 1969 წლის OAU კონვენციის საფუძველზე თანმიმდევრული მიდგომის კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ მის 1-ლ პარაგრაფში გამოვლენილია 1951 წლის კონვენციის განსაზღვრება, ხოლო რეგიონული განსაზღვრება მოცემული მის შემდეგ, მეორე პარაგრაფში.

¹⁵² UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები Prima Facie აღიარების შესახებ, ზემოთ, სქოლიო 10, პარ. 2 და 5.

წარმოშვას, რომელიც მოითხოვს განმცხადებლის კონკრეტული გარემოებების დადგენას - შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მიზეზების, ხასიათისა და ზემოქმედების გარკვევას განმცხადებელთან მიმართებით. თუკი არ გამოიყენება ლტოლვილის *prima facie* აღიარება, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს ინდივიდუალურად, წარმოშობის ქვეყნის განახლებული და რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ

90. წარმოშობის ქვეყნის შესახებ განახლებული და შესაბამისი ინფორმაცია მნიშვნელოვანია შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის აღქმისთვის, ასევე, იმის დასადგენად, არის თუ არა წარმოშობის ქვეყანაში რომელიმე სიტუაცია ან გარემოება, რომლებიც რეგიონულ განსაზღვრებაში არის მითითებული.¹⁵³

91. წარმოშობის ქვეყნის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებს. ხარისხობრივი ინფორმაცია განსაკუთრებით აქტუალურია მცდარი აღქმის, სტერეოტიპებისა და განზოგადების თავიდან ასაცილებლად. იგი შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციის უფრო ღრმა აღქმის საშუალებას იძლევა, ანუ - სიტუაციის ისტორიისა და განვითარების, ჩართული აქტორების, ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების, გამოყენებული სტრატეგიებისა და ტაქტიკის და შედეგების შესახებ, რომელიც სიტუაციამ იქონია ქვეყანაზე და იქ მყოფ ადამიანებზე.¹⁵⁴ შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია სათანადო სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. სხვადასხვა წყარომ შეიძლება განსხვავებული მეთოდოლოგიები გამოიყენოს, ხშირად მონაცემთა შეგროვების მიმართ მათი მოტივაციიდან გამომდინარე, რის შედეგადაც წყაროთა შორის საგულისხმო შეუსაბამობა წარმოიშობა. სტატისტიკური ინფორმაცია შეიძლება იყოს სიტუაციის მოსახლეობაზე ზემოქმედების ინდიკატორი, მაგრამ ასეთი მონაცემები შეიძლება არაადამაჯერებელი ან არასაიმედო იყოს რისკის, ზიანის, 1951 წლის კონვენციის შესაბამისი საფუძვლის და/ან ზიანისა და საფუძველს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართებით, ან სიტუაციათა მიმართებით, რომლებიც რეგიონულ განსაზღვრებებში არის ნახსენები. სტატისტიკური ინფორმაციისთვის დამახასიათებელია სიტუაციის რაოდენობრივ მახასიათებლებზე ფოკუსირება, როგორცაა, სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, და შეიძლება არ ასახავდეს ზიანის სხვა ფორმებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის გამოწვეული შეიარაღებული კონფლიქტითა და ძალადობით ადამიანებზე, სახელმწიფო სტრუქტურებზე ან საზოგადოებებზე.

92. ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შეფასებისას, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს განმცხადებლის კონკრეტულ გარემოებებს. წარმოშობის ქვეყნის შესახებ საიმედო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც დამახასიათებელია განმცხადებელთა კონკრეტული ჯგუფის სიტუაციისთვის,

¹⁵³ *Radjabu v. The Chairperson of the Standing Committee for Refugee Affairs*, ზემოთ, სქოლიო 10, პარ. 6, სასამართლოს თანახმად, გაფართოებული განსაზღვრებით პირის კვალიფიციერებისას საჭიროა შეფასდეს - ობიექტურად დადასტურებადი გარემოებების არსებობა პირის წარმოშობის ქვეყანაში, რომელიც შეესაბამება განსაზღვრებაში მოცემულ რომელიმე გარემოებას.

¹⁵⁴ *Sufi and Elmi v. United Kingdom*, ზემოთ, სქოლიო 45, პარ. 241

ბავშვების¹⁵⁵ ან სხვადასხვა გენდერული იდენტობის და/ან სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა ჩათვლით,¹⁵⁶ ხშირად მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ასეთი პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებში. ანალოგიურად, წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაცია შეიძლება არ ასახავდეს ქალების ან მამაკაცების კონკრეტულ გარემოებებს, მათ შორის, გენდერთან დაკავშირებული ზიანის ფორმებს ან კონფლიქტში ჩართული აქტორების შემადგენლობისა და მათი ქმედებების ცვლილებებს.¹⁵⁷ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა სათანადოდ უნდა აღიქვან ეს ფაქტი. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციებში, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციაში კონკრეტული ჯგუფების სიტუაციის შესახებ მონაცემების არარსებობა, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ასეთი ჯგუფები კონკრეტული საფრთხის წინაშე არ დგანან.

მტკიცების ტვირთი

93. მტკიცების ტვირთი ზოგადად ეკისრება პირს, რომელმაც განაცხადი წარადგინა, მაგრამ, სათანადო შეგროვებისა და ანალიზის და, გამამყარებელი მტკიცებულების მოპოვების ტვირთი, განმცხადებელსა და გადაწყვეტილების მიმღებს შორის ნაწილდება.¹⁵⁸ პასუხისმგებლობის ასეთი განაწილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, რადგან ასეთ დროს უფრო რთულია ინფორმაციის მოპოვება – როგორც ზოგადი ხასიათის, ისე კონკრეტული ინდივიდის შესახებ.¹⁵⁹ ადამიანები, რომლებიც ასეთი სიტუაციებიდან გარბიან, სავარაუდოდ საგულისხმო პრობლემების წინაშე დგანან, როდესაც მათ უხდებათ დეტალური ანგარიშის წარდგენა მოვლენების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვის საჭიროების დემონსტრირებას ახდენს, და/ან მათი მოთხოვნის გამამყარებელი მტკიცებულებების მოპოვებისას. ამიტომ, ასეთ გარემოებებში, ხშირად საჭიროა ეჭვი განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყდეს.¹⁶⁰

¹⁵⁵ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 8: ბავშვთა მიერ თავშესაფრის მოთხოვნა 1951 წლის კონვენციის და/ან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის 1(A)2 და 1(F) მუხლების კონტექსტში*, 2009 წლის 22 დეკემბერი, HCR/GIP/09/08, პარ. 74, <http://www.refworld.org/docid/4b2f4f6d2.html>

¹⁵⁶ UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები გენდერზე დაფუძნებული დევნის შესახებ*, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 37. UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის შესახებ*, ზემოთ, სქოლიო 56, პარ. 66.

¹⁵⁷ UNHCR, *ქეიფთაუნის შემაჯამებელი დასკვნები*, ზემოთ, სქოლიო 3, პარ. 23.

¹⁵⁸ UNHCR, *სახელმძღვანელო*, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 196. იხ. აგრეთვე, UNHCR, *Beyond Proof, Credibility Assessment in EU Asylum Systems: Full Report*, 2013 წლის მაისი, გვ. 86-88, <http://www.refworld.org/docid/519b1fb54.html>

¹⁵⁹ *ლტოლვილთა სარჩელი No. 71462/99, Tamil and a Citizen of the Democratic Socialist Republic of Sri Lanka v. Refugee Status Branch of the New Zealand Immigration Service*, 71462/99, ზემოთ, სქოლიო 54, პარ 51.

¹⁶⁰ UNHCR-ის სახელმძღვანელო, ზემოთ, სქოლიო 26, პარ. 203.